პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
12 მაისი
1939 წ.
№ 107 (5507)
ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

საერთაშორისო მდგომარეობისათვის („იზვესტიის" მოწინავე).

საბჭოთა კავშირის გმირების ანატოლ სეროვის და პოლინა ოსიპენკოს დაღუპვა (1-ლი გვ.)

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმის დადგენილება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფკავშირთა მუშაობის შესახებ (მე-2 გვ.)

სოფლის სკოლების მოწინავე მასწავლებელთა დაჯილდოება (მე-2 გვ.)

ხალხთა სტალინური მეგობრობა [illegible] ეგნატე ნინოშვილი (მე-3 გვ.)

პრესის მიმოხილვა — მთავარის [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთში:

მდგომარეობა დანციგში (მე-4 გვ.)

მღელვარება კლაიპედის ოლქში (მე-4 გვ.)

ჩინელ პარტიზანთა გაბედული თავდასხმა (მე-4 გვ.).

საერთაშორისო მდგომარეობისათვის

უკანასკნელი კვირეების განმავლობაში მოხდა ზოგიერთი ამბები, რომლებმაც არსებითად შესცვალეს მდგომარეობა ევროპაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს, ჯერ-ერთი, ჰიტლერის უკანასკნელი სიტყვა რეიხსტაგში და, მეორე, იტალიასა და გერმანიას შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადება. დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკური მოღვაწეები ჩვეულებრივ აღნიშნავენ, რომ ამ ორ მოვლენას არავითარი ცვლილება არ შეუტანია ევროპის მდგომარეობაში. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. უფრო მეტიც, ეს სიცრუეა, ვინაიდან ასეთ აღნიშვნას მიზნად აქვს საზოგადოებრივი აზრის მოტყუება. ნამდვილად, ამ ორმა მოვლენამ შექმნა მობრუნება უარესისაკენ მთელ პოლიტიკურ ვითარებაში.

რეიხსტაგში ჰიტლერის გამოსვლის მეოხებით გაჰქრა ორი უაღრესად სერიოზული ხელშეკრულება, რომლებიც დღემდე აწესრიგებდნენ ურთიერთობას, ერთი მხრით, ინგლისსა და გერმანიას და, მეორე მხრით, გერმანიასა და პოლონეთს შორის. იყო საზღვაო ხელშეკრულება ინგლისსა და გერმანიას შორის. ჰიტლერის გამოსვლის შემდეგ ეს ხელშეკრულება გაჰქრა. იყო ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ პოლონეთსა და გერმანიას შორის. ჰიტლერის გამოსვლის შემდეგ ეს ხელშეკრულება გაჰქრა. როგორ შეიძლება მტკიცება, რომ ორი უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულების უეცრად მოსპობას არავითარი ცვლილება არ შეუტანია საერთაშორისო მდგომარეობაში!

რაც შეეხება იტალიასა და გერმანიას შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებას, ამ ფაქტმა შემდგომი ზიანი მიაყენა იმ მდგომარეობას ევროპაში, რომელიც ამ აქტამდე არსებობდა. ამ ხელშეკრულების დადებამდე გერმანია და იტალია წარმოადგენდნენ ორ „პარალელურ" პოლიტიკას, რომლებიც, მიუხედავად გეომეტრიის კანონებისა, საკმაოდ ხშირად ერთდებოდნენ ერთიანი ღერძის მახლობლად, მაგრამ შეძლოთ არც შეერთებულიყვნენ. ზოგიერთ სახელმწიფოს ჰქონდა იმედიც კი, ანდა პირდაპირი ანგარიშიც მოეწყვიტნა იტალია გერმანიისაგან, განეცალკევებინა გერმანია. ახლა ამ იმედებსა და ანგარიშებს ბოლო ეღება. უკვე აღარ არსებობს ორი „პარალელური" პოლიტიკა. ახლა ევროპას საქმე ექნება ერთიან საერთო და სამხედრო პოლიტიკასთან, გერმანია-იტალიის პოლიტიკასთან, რომელიც თავისი მახვილით, როგორც ხელშეკრულების თვით ავტორები ამბობენ, მიმართული იქნება ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. როგორ შეიძლება მტკიცება, რომ ამ მნიშვნელოვან მოვლენას არავითარი ცვლილება არ შეუტანია ევროპის მდგომარეობაში!

საბჭოთა ადამიანები არაერთხელ ამტკიცებდნენ, რომ ანტიკომინტერნული პაქტი, რომელიც აერთიანებს გერმანიას, იტალიას და იაპონიას, არის ნიღაბი, რომელიც ჰფარავს აგრესიული სახელმწიფოების ბლოკს ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანებს არ უჯერებდნენ და დასცინოდნენ მათ. მაგრამ ახლა ყველასათვის ნათელია, რომ გერმანიისა და იტალიის ანტიკომინტერნული პაქტის გადაქცევა ამ სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკურ კავშირად ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, — არის უეჭველი ფაქტი.

უეჭველია, რომ ჩეხოსლოვაკიისა და ალბანეთის დაპყრობის შემდეგ ორი ხელშეკრულების გაუქმება გერმანიის მიერ და გერმანიასა და იტალიას შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადება წარმოადგენენ ყველაზე სერიოზულ მოვლენებს, რომლებმაც რადიკალურად გააუარესეს მდგომარეობა ევროპაში.

ყველა ამ გარემოებამ შექმნა პირობები, რომელთა ნიადაგზედაც გაძლიერდა ძებნა დემოკრატიულ სახელმწიფოების მიერ გზებისა და საშუალებებისა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შეიქმნას მშვიდობიანობის ერთიანი ფრონტი აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც ჩაღდება.

ამავე ნიადაგზე წარმოიშვა მოლაპარაკება ერთი მხრით ინგლისსა და საფრანგეთსა და მეორე მხრით სსრ კავშირს შორის აგრესიის წინააღმდეგ მშვიდობიანობის ეფექტიური ფრონტის ორგანიზაციის შესახებ.

უცხოელი პოლიტიკოსები და პრესის მოღვაწეები ავრცელებენ ყოველგვარ ცილისმწამებლურ ხმებს სსრ კავშირის პოზიციის შესახებ ამ მოლაპარაკებაში, მიაწერენ მას ინგლისთან და საფრანგეთთან პირდაპირი სამხედრო კავშირის დადების მოთხოვნას და აგრესორების წინააღმდეგ სამარ მოქმედებათა დაუყოვნებლივ დაწყების მოთხოვნასაც კი. აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ ამ უაზრობას საერთო არა აქვს რა სსრ კავშირის პოზიციასთან. სსრ კავშირი სთვლიდა და კვლავ სთვლის, რომ თუ საფრანგეთსა და ინგლისს ნამდვილად სურთ შექმნან ზღუდე აგრესიის წინააღმდეგ ევროპაში, ამისათვის საჭიროა შეიქმნას ურთიერთდახმარების ერთიანი ფრონტი უწინარეს ყოვლისა ევროპის ოთხ მთავარ სახელმწიფოს — ინგლისსა, საფრანგეთსა, სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის, ან, ყოველ შემთხვევაში, სამ სახელმწიფოს—ინგლისსა, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის, რათა ამ სამმა სახელმწიფომ, ერთმანეთს შორის ურთიერთვალდებულებათა საწყისებზე ურთიერთდახმარების პაქტით დაკავშირებულმა, გარანტია მისცეს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც აგრესიის მუქარის ქვეშ იმყოფებიან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ამ ნათელმა, თავიდან ბოლომდე თავდაცვითმა და მშვიდობისმოყვარულმა პოზიციამ, ამასთანავე დაფუძნებულმა ურთიერთობისა და თანაბარ ვალდებულებათა პრინციპზე, ვერ ჰპოვა თანაგრძნობა ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ. როგორც ცნობილია, ინგლისი საფრანგეთის თანხმობით გამოვიდა კონტრწინადადებებით. თავის წინადადებებში ინგლისი გვერდს უვლის საფრანგეთსა, ინგლისსა და სსრ კავშირს შორის ურთიერთდახმარების პაქტის საკითხს და სთვლის, რომ საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ინგლისსა და საფრანგეთს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელები ჩაბმული იქნებიან სამარ მოქმედებაში პოლონეთისა და რუმინეთის გარანტირების მიხედვით მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების დროს, ამასთან ინგლისი სდუმს იმ დახმარებაზე, რომელიც, ბუნებრივია, უნდა მიეღო სსრ კავშირს, ურთიერთვალდებულების პრინციპის მიხედვით, საფრანგეთისა და ინგლისისაგან, იგი რომ ჩაბმული აღმოჩენილიყო სამარ მოქმედებაში აღმოსავლეთ ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოს გარანტირების მიხედვით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების დროს.

ამრიგად, გამოდის, რომ ამ კომბინაციის დროს სსრ კავშირი უნდა მოხვდეს არათანაბარ მდგომარეობაში, თუმცა ვალდებულებანი მას ისეთივე ექნება, როგორც საფრანგეთსა და ინგლისს. ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ უაღრესად საინტერესო საკითხი აგრესიისათვის ფაქტიური წინააღმდეგობის გაწევის შესახებ და ასეთი წინააღმდეგობის დაწყების ვადის შესახებ ამ კომბინაციის დროს უნდა გადასწყვიტონ მხოლოდ ინგლისმა ან საფრანგეთმა, თუმცა წინააღმდეგობის გაწევის სიმძიმე უმთავრესად უნდა დააწვეს მხრებზე სსრ კავშირს მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ პოლონეთისა და რუმინეთის დაცვით ინგლისი და საფრანგეთი ფაქტიურად იცავენ სსრ კავშირის დასავლეთის საზღვარს. ეს სწორი არ არის. ჯერ-ერთი, სსრ კავშირის დასავლეთის საზღვარი არ განისაზღვრება პოლონეთითა და რუმინეთით. მეორე, — და ეს მთავარია, პოლონეთისა და რუმინეთის დაცვით ინგლისი და საფრანგეთი იცავენ საკუთარ თავს, და არა სსრ კავშირის დასავლეთის საზღვარს, ვინაიდან მათ აქვთ ურთიერთდახმარების პაქტი პოლონეთთან, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია დაიცვას აგრესიისაგან ინგლისი და საფრანგეთი. რაც შეეხება რუმინეთს, აქვს რა კავშირის ხელშეკრულება პოლონეთთან, იგი უნდა წავიდეს პოლონეთის ფარვატერით, ე. ი. მან ფაქტიურად უნდა შეასრულოს ინგლისისა და საფრანგეთის არაპირდაპირი მოკავშირის როლი. სულ სხვაა სსრ კავშირის საქმე. არა აქვს რა ურთიერთდახმარების პაქტი არც ინგლისთან და საფრანგეთთან, არც პოლონეთთან, სსრ კავშირი ვალდებული ხდება დახმარება აღმოუჩინოს სამივე ამ სახელმწიფოს მათგან ყოველგვარი დახმარების მიუღებლად, ამასთან პირდაპირ სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შემთხვევაში უკანასკნელი იძულებულია დაეყრდნოს მხოლოდ თავის საკუთარ ძალებს.

გამოდის ისევ არათანაბარი მდგომარეობა სსრ კავშირისათვის.

დიდი ბრიტანეთის პრემიერი ჩემბერლენი, რომელიც 10 მაისს თემთა პალატაში გამოვიდა, თავის სიტყვაში ლაპარაკობდა სსრ კავშირთან თანამშრომლობაზე, კავშირზე. მაგრამ თანამშრომლობა გულისხმობს ურთიერთვალდებულებას, როგორც თავის ბუნებრივ საფუძველს. იქ, სადაც ურთიერთვალდებულება არ არის, არ არის ნამდვილი თანამშრომლობის მოგვარების შესაძლებლობაც.

„იზვესტიას" მოწინავე, 11/V.

ქ რ ო ნ ი კ ა

11 მაისს თურქეთში მოგზაურობიდან მოსკოვს დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილე ამხ. **ვ. პ. პოტიომკინი. (საკდესი).**

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ი. ტ. პერესიპკინი** დანიშნა სსრკ კავშირგაბმულობის სახალხო კომისრად (საკდესი).

○

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **კ. ა. უმანსკი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ამერიკის შეერთებულ შტატებში. (საკდესი).

ანატოლ სეროვი, პოლინა ოსიპენკო

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ 11 მაისს სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს საჰაერო კატასტროფის შედეგად, უდროოდ დაიღუპნენ საბჭოთა კავშირის გმირები, ამხანაგები —ანატოლ კონსტანტინეს-ძე სეროვი და პოლინა დენისის-ასული ოსიპენკო, და თავის ღრმა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.

სსრ კავშირის მთავრობამ დაადგინა:

1) მოეწყოს მთავრობის კომისია ამხ. სეროვისა და ოსიპენკოს დასაკრძალავად ამხ. ბულგანინის (თავმჯდომარე), ბუდიონის, მეხლისის, შჩერბაკოვის, ლოქტიონოვის, სმუშკევიჩის, გრიზოდუბოვას და რასკოვას შემადგენლობით.

2) ამხ. სეროვისა და ოსიპენკოს დაკრძალვა მიღებულ იქნას სახელმწიფოს ხარჯზე.

3) ამხ. სეროვი და ოსიპენკო დაკრძალულ იქნან წითელ მოედანზე კრემლის კედელთან.

საბჭოთა კავშირის გმირი—ანატოლ სეროვი

საბჭოთა კავშირის გმირი ანატოლ კონსტანტინეს-ძე სეროვი დაიბადა 1910 წელს მაღაროელის ოჯახში. მისი მამა ურალის ოლქის ვორონცოვის სპილენძის მაღაროში მუშაობდა. ცხრაწლედის ხუთი კლასის დამთავრების შემდეგ ანატოლი შევიდა ნადეჟდინსკის ქარხნის საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლაში, სადაც მიიღო მეფოლადის კვალიფიკაცია სარელსე ფოლადის დარგში.

შემდეგ იგი ასე იგონებდა თავისი ბავშვობის წლებს:

„ჩვენი მამებისა და ძმების მიერ მოპოვებულ სამყაროში ჩვენ შევედით როგორც მემკვიდრეები, რომელთაც სამართლიანად ეკუთვნის დიადი სამშობლოს მთელი სიმდიდრე. საუკუნის მოწინავე იდეები ჩვენ დედის რძესთან ერთად შევიწოვეთ. ჩვენ დაწაფებით ვისმენდით ნაამბობს იმაზე, თუ როგორ იბრძოდნენ ჩვენი მამები სამოქალაქო ომში, თუ როგორ დაამარცხეს მათ კოლჩაკი და სხვა ბარონები და გენერლები. ჩვენ გვინდოდა დავმსგავსებოდით ბოლშევიკებს, რომლებმაც ჩვენ თავისუფალი ცხოვრება მოგვიპოვეს; ჩვენ ვოცნებობდით საგმირო საქმეებზე, სახელზე და, თუმცა ამ ოცნებებში ბევრი რამ ბავშვური და სასაცილო იყო, მაგრამ ეს ოცნებები მუდამ სამშობლოზე ფიქრთან იყო დაკავშირებული".

ანატოლ სეროვი ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც მან გადასწყვიტა ესწავლა ფრენა. მან ჩვეულებრივი ტილოსაგან დაამზადა ფრთები, მიამაგრა ისინი წვრილ ჯოხებზე, გაუკეთა ფრთებს კავები. თავისი პირველი „გაფრენა" მან სახლის სახურავიდან დაიწყო. ეს ამბავი მეტად სავალალოდ დამთავრდა: იგი მიწაზე დაეცა და ფეხი იღრძო. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც იგი ფეხდაშავებული ლოგინში იწვა, მას არ შორდებოდა აზრი გაფრენის შესახებ. 1929 წელს ამხ. სეროვს ჰგზავნიან ვოლსკის საფრენოსნო თეორიულ სკოლაში.

სწავლების თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ იგი გადის პრაქტიკას ორენბურგში. პილოტირების ტექნიკაში ანატოლ სეროვი ერთერთ საუკეთესო მფრინავად ითვლება. ინსტრუქტორებმა მაშინვე შეამჩნიეს, რომ იგი გაბედული, უშიშარი ადამიანია. უკვე აქ სეროვმა გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა პილოტმა. მატერიალური ნაწილის ჩინებულად ცოდნისათვის მას მიენიჭა ავიატექნიკოსის სახელწოდება. ორენბურგში 1931 წელს კომკავშირელი სეროვი საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შედის.

სკოლის დამთავრებიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ ანატოლ სეროვი შორეულ აღმოსავლეთში მიემგზავრება. აქ იგი ხდება ავიაგამანადგურებელთა რგოლის მეთაური. ახალგაზრდა მეთაური ყურადღებით და გულისხმიერად, დიდი სიყვარულით ეპყრობა თავის ხელქვეითებს. მის რგოლს არმიის საავიაციო რგოლების შეჯიბრებაში პირველი ადგილი უჭირავს შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებულ წითელდროშოვან არმიაში. მან მთელს შორეულ-აღმოსავლეთში გაითქვა სახელი. 1934 წელს სეროვს რაზმის მეთაურად ნიშნავენ. იგი დღითი-დღე იზრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა, დაუღალავად სწავლობდა რთულ საფრენოსნო საქმეს. იგი უკვე გაბედულად ფრინავს ყოველგვარ პირობებში, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და ამოცანად ისახავს მიაღწიოს კიდევ უფრო მაღალ კულტურას საფრენოსნო ოსტატობის დაუფლებაში. მთელ თავის ცოდნასა და ჩვევებს პილოტირების ხელოვნებაში იგი ხალისით უზიარებს ახალგაზრდა მფრინავებს. სეროვი თანდათანობით ეუფლება თანამედროვე ტიპის ყველა საბრძოლო მანქანას.

გაბედული და მამაცი, იგი ჰაერში ყოფნისას რთული ფრენის შესრულების დროს არასოდეს არ იბნეოდა უაღრესად მძიმე წუთებში. როდესაც ერთხელ 500 მეტრის სიმაღლეზე სეროვის მანქანას ცეცხლი გაუჩნდა, იგი მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი მას სახეს სწვავდა, პარაშუტით კი არ გადმოხტა, არამედ გადასწყვიტა ძირს დაშვებულიყო. დიდი ოსტატობით წაიყვანა მან მანქანა აეროდრომისაკენ და უვნებლად დაუშვა. რამდენიმე დღის შემდეგ სეროვი უკვე ფრინავდა ამ მანქანით.

რამდენიმე ხნის შემდეგ სეროვს ჰგზავნიან სამხედრო-საჰაერო აკადემიაში. 1935-36 წლებში იგი მეთაურთა ფაკულტეტზე სწავლობს და აქედან გადადის მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში. აქ იგი ხდება გამომცდელი მფრინავი. ეს პროფესია იზიდავს მას, იგი მას ახმარს მთელს თავის ძალებსა და ნიჭს. 1937 წელს საბჭოთა მთავრობამ ანატოლ სეროვი სიმამაცისა და განსაკუთრებული საფრენოსნო ოსტატობისათვის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. იმავე წელს განსაკუთრებული წარმატებისათვის თავის ნაწილში საბრძოლო, პოლიტიკური და ტექნიკური მომზადების საქმეში მას აჯილდოებენ წითელი დროშის მეორე ორდენით. 1938 წელს მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დარგში და ამ საქმეში გამოჩენილი გმირობისათვის მას საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება ენიჭება.

მთელმა ქვეყანამ იცოდა ამ სახელოვანი მფრინავის უმაღლესი პილოტაჟისა და ბრმა ფრენის ბრწყინვალე ოსტატის სახელი.

ბრიგადის მეთაური სეროვი ამ უკანასკნელ წლებში მონაწილეობას იღებდა საუცხოო საჰაერო პარადებში და მთელი ბრწყინვალებით გვიჩვენებდა იგი თავის ოსტატობას. იგი მეთაურობდა ლეგენდარულ ლამაზ განმანადგურებელთა ხუთეულს, რომელიც გრიგალივით დასტრიალებდა თავს აღფრთოვანებულ ქალაქს.

1939 წელს ბრიგადის მეთაური ა. კ. სეროვი დანიშნულ იქნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა მთავარი საფრენოსნო ინსპექციის უფროსად.

მგზნებარე პატრიოტი, თავისი სამშობლოს მოყვარული და მზადმყოფი მისთვის მთელი თავისი სიცოცხლის შესაწირავად, დაუნდობელი ხალხის მტრებისადმი,—ასეთი იყო და ასეთივე დარჩება საბჭოთა ადამიანების ხსოვნაში სტალინური ეპოქის შესანიშნავი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, ბრიგადის მეთაური, ანატოლ კონსტანტინეს-ძე სეროვი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირი—პოლინა ოსიპენკო

მშვენიერი იყო საბჭოთა კავშირის გმირის პოლინა დენისის-ასულ ოსიპენკოს შრომითი ცხოვრება. იგი დაიბადა 1907 წელს ბერდიანსკის რაიონის სოფელ ნოვოსპასკოეში, ღატაკი გლეხის ოჯახში. მხოლოდ ორ წელიწადს დადიოდა პოლინა სამრევლო სკოლაში, შემდეგ მას ბავშვების მომვლელად ამუშავებდნენ, უფრო გვიან მოჯამაგირედ იყო, დადიოდა ქალაქში სამუშაოდ, იყო დამლაგებლად პურის ელევატორზე.

1927 წელს კომკავშირელი ოსიპენკო თავის მშობლებთან ერთად კოლმეურნეობაში შევიდა. როგორც აქტივისტი-კოლმეურნე, იგი კიევში მეფრინველეთა კურსებზე გაგზავნეს. პოლინა დღისითა და ღამით წიგნებს უჯდა და წარმატებით ჩააბარა გამოცდა. თავის რაიონში იგი მეფრინველეობის ფერმების ორგანიზაციის ინსტრუქტორად დაბრუნდა.

1929 წლის ზაფხულში მისი კოლმეურნეობის მახლობლად შემთხვევით დაეშვა ორი სასწავლო თვითმფრინავი. პოლინამ პირველად ნახა გასაოცარი მანქანა. იგი ყველაზე მეტად იმან განაცვიფრა, რომ ერთერთ თვითმფრინავში ქალი იჯდა.

— განა ქალს შეუძლია ფრენა?— იკითხა მან.

ფრენა! ... ეს მის მაღალ და წარმტაც ოცნებად გადაიქცა. პოლინა მიდის ავიასკოლაში სევასტოპოლის მახლობლად და მალე საავიაციო სკოლის კურსანტი ხდება. იგი თავგამოდებით, მგზნებარებით მეცადინეობს, რათა დაეწიოს თავის ამხანაგებს, რომელთაგან ბევრს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. პოლინა ფრინავს და გამოცდილი მფრინავები მასზე ამბობენ: „თანდაყოლილი ტალანტი, სიზუსტე, დისციპლინიანობა".

1932 წლის დასასრულს პოლინა ოსიპენკო სკოლას კარგი ნიშნით ამთავრებს. იგი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ხარკოვის გარნიზონის ერთერთი ავიანაწილის სამხედრო მფრინავია.

ჯერ კიდევ 1929 წელს პოლინა ოსიპენკო მიღებული იყო საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად, სკოლაში იგი პარტიის წევრთა რიგებში გადაიყვანეს.

მას, როგორც საუცხოო მფრინავს, ნიშნავენ რგოლის მეთაურად. აითვისა თუ არა თვითმფრინავთა მრავალი ტიპი, მას სიმაღლეზე ფრენა იტაცებს და ადის 5000, 6.000, 8.000 მეტრზე... 1936 წლის სექტემბერში პოლინა ოსიპენკო 9.100 მეტრ სიმაღლეს აღწევს. ასეთ სიმაღლეზე მსოფლიოში ჯერ კიდევ არცერთ ქალს არ უფრენია.

იმავე წელს იგი მონაწილეობას იღებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების სრულიად-საკავშირო თათბირში. თათბირის ტრიბუნიდან იგი სიტყვას იძლევა, რომ იფრენს მსოფლიოს ყველა ქალზე უფრო მაღლა, უფრო შორს და უფრო სწრაფად.

ოსიპენკოს სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ შორდება. შეუპოვრად, გულმოდგინეთ ემზადება პოლინა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. და აი, მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ 1937 წლის მაისის სამი დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავმა ქალმა სიმაღლეზე ფრენის სამი საერთაშორისო რეკორდი დაამყარა.

სწორედ ერთი წლის შემდეგ ოსიპენკო ამყარებს კიდევ ერთ რეკორდს. მარინა რასკოვასთან და ვერა ლომაკოსთან ერთად მან თავისი ჰიდროთვითმფრინავით დახშული წრით შემოიფრინა 1.749 კილომეტრი და 213 მეტრი. ეს მრუდით სიშორეზე ფრენის ახალი საერთაშორისო რეკორდია.

პოლინა ოსიპენკო ემზადება აგრეთვე ახალი უჩვეულო გადაფრენისათვის შავი ზღვის ნაპირებიდან თეთრი ზღვის ნაპირებისაკენ. 1938 წლის 2 ივლისს პოლინა ოსიპენკო თავის მებრძოლ ამხანაგებთან ლომაკოსთან და რასკოვასთან ერთად ბრწყინვალედ ატარებს ამ გადაფრენას. სერიულმა ჰიდრო-თვითმფრინავმა გადასერა თვალუწვდენელი ქვეყანა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ღრუბლებსა და ჭექა-ქუხილში, კოკისპირულ წვიმასა და ქარიშხალში მან 2.372 კილომეტრი გაიარა 10 საათსა და 33 წუთში. მთავრობამ ამხ. ოსიპენკო ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ეს იყო მისი მეორე ორდენი: ჯერ კიდევ 1936 წელს სახელოვანი მფრინავი ქალის დამსახურება აღნიშნული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით. არხანგელსკში გადაფრენიდან დაბრუნებისთანავე პოლინა ოსიპენკომ იწყო მზადება ახალი, კიდევ უფრო გრანდიოზული გადაფრენისათვის.

ორ თვეზე მეტს დაძაბულად მუშაობდა პოლინა ოსიპენკო აეროდრომზე თვითმფრინავის მეთაურ ვ. გრიზოდუბოვასთან და შტურმან მ. რასკოვასთან ერთად თავისი მანქანის—„როდინას" მოსამზადებლად. 24 სექტემბერს თვითმფრინავმა, რომელიც ახლა ლეგენდარული გახდა, მოსკოვი დასტოვა. საბჭოთა გმირმა ქალებმა უძნელეს მეტეოროლოგიურ პირობებში გაიკაფეს გზა წყნარი ოკეანის ნაპირებისაკენ. თვითმფრინავმა 26 საათისა და 29 წუთის განმავლობაში პირდაპირი ხაზით გაიარა 5.947 კილომეტრი, მარშრუტით—6.450 კილომეტრი. პირდაპირი ხაზით შორს ფრენის ქალთა საერთაშორისო რეკორდი გადაჭარბებულ იქნა 1.500 კილომეტრზე მეტით. ამავე დროს „როდინას" ეკიპაჟმა მრუდე ხაზით ძირდაუშვებლად სიშორეზე ფრენის ქალთა ახალი საერთაშორისო რეკორდი დაამყარა.

„თქვენი სიმამაცე, სიმტკიცე და ფრენოსნობის მაღალი ოსტატობა, რაც გამოიჩინეთ გზისა და დაშვების უძნელეს პირობებში, მთელი საბჭოთა ხალხის აღტაცებას იწვევს.

ვამაყობთ თქვენით და სულით და გულით გართმევთ ხელს".

ამხანაგების სტალინისა და მოლოტოვის ამ სიტყვებმა გამოხატეს სამი საბჭოთა მფრინავი ქალის გმირული გადაფრენით აღტაცებული მთელი მოწინავე კაცობრიობის გრძნობები. საბჭოთა კავშირის გმირთა რიგებს სამი გმირი ქალი შეემატა.

სულ ახლახან — 1939 წლის 1 მაისს—პოლინა დენისის-ასული საჰაერო პარადში იღებდა მონაწილეობას. იცავდა რა საუცხოო მწყობრს ერთფრთიან სწრაფლმავალ ავიაგამანადგურებელთა ჯგუფში, მაიორმა პოლინა ოსიპენკომ ელვასავით გადაუქროლა წითელ მოედანს.

მხურვალედ უყვარდა პოლინა ოსიპენკოს თავისი სამშობლო. და სამშობლოც არასოდეს არ დაივიწყებს მას — თავის ერთგულ ქალიშვილს,—გმირ მფრინავ ქალს, რომელიც მრავალ საგმირო საქმეს გვიჩვენებდა დიდი საბჭოთა ხალხის სასახელოდ, დიადი სოციალისტური ქვეყნის სასახელოდ. (საკდესი).

ამხ. პ. ოსიპენკო

ამხ. ა. სეროვი

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი

ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს დაიღუპნენ საბჭოთა კავშირის გმირები ბრიგადის მეთაური ანატოლ კონსტანტინეს-ძე სეროვი და მაიორი პოლინა დენისის-ასულ ოსიპენკო. და თავის სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს.

გ მ ი რ თ ა ხ ს ო ვ ნ ა ს

საბრძოლო პოსტზე, საჰაერო ხომალდის შტურვალთან დაიღუპნენ დიდი საბჭოთა ხალხის მამაცი შვილები, სტალინური ავიაციის ამაყი შევარდნები, თავისი სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგული ბოლშევიკები პოლინა ოსიპენკო და ანატოლ სეროვი. დიდია საბჭოთა კავშირის მშრომელების, ლენინ-სტალინის პარტიის დანაკლისი, დიდია დანაკლისი წითელი არმიისა, რომელმაც ორი თავისი საუკეთესო მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი დაჰკარგა.

პოლინა ოსიპენკოს და ანატოლ სეროვის ნათელი სახეები მუდამ ცოცხალი იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა გულში. მათი ცხოვრება, ხალხისადმი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი მათი თავდადებული სამსახური მოუწოდებს ყველა მშრომელს, წითელი არმიის ყველა მებრძოლს, მეთაურსა და პოლიტიკურ მუშაკს შემდგომი საგმირო საქმეებისაკენ, დედა-სამშობლოს სასახელოდ, კომუნიზმის უძლეველი, ყოვლისმძლე დროშის სასახელოდ.

პოლინა ოსიპენკოს და ანატოლ სეროვის სახელები ცნობილია შორს, ჩვენი სამშობლოს საზღვრებს იქით. მათ ისეთი საგმირო საქმეები გააკეთეს, რომლებმაც მთელი მსოფლიო აღტაცებაში მოიყვანა. სტალინური ეპოქის მიერ აღზრდილ, ჩვენი ხალხის, გმირთა და შემოქმედთა ხალხის წიაღიდან გამოსულ პოლინასა და ანატოლის ახასიათებდათ საბჭოთა ადამიანების, სტალინური წრთობის ადამიანების საუკეთესო თვისებანი: მაღალი მოქალაქეობრიობა, ბოლშევიკური სიმტკიცე, უსაზღვრო სიძულვილი ხალხის საზიზღარი მტრებისადმი.

გმირ მფრინავებს პოლინა ოსიპენკოს და ანატოლ სეროვს არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერიათ საბჭოთა ავიაციის ისტორიაში. მოჯამაგირე ქალი პოლინა ოსიპენკო გახდა პირველხარისხოვანი მფრინავი, რომელიც საფუძვლიანად დაეუფლა საჰაერო ხომალდების მართვის უაღრესად რთულ ოსტატობას, მოიპოვა ჩვენი ხალხის გმირის მაღალი სახელწოდება და ისტორიაში უმაგალითო გადაფრენებით შავი ზღვიდან თეთრ ზღვამდე, მოსკოვიდან წყნარ ოკეანემდე ცხადჰყო საბჭოთა კავშირის ფოლადის ფრინველთა ძალა და ძლიერება, განთავისუფლებული და სტალინური ეპოქის მიერ აღზრდილი საბჭოთა ქალის ძალა და ძლიერება.

ანატოლის მიერ საბჭოთა იარაღის სასახელოდ, წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების განსამტკიცებლად შესრულებული საგმირო საქმენი დიდად დააფასა ჩვენმა სახალხო მთავრობამ, რომელმაც იგი საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდებითა და ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ოსიპენკომ და სეროვმა მთელი თავისი სიცოცხლე იმას შესწირეს, რომ საბჭოთა თვითმფრინავები ჰფრინავდნენ მსოფლიოში ყველა თვითმფრინავზე უფრო შორს, ყველაზე უფრო მაღლა და ყველაზე უფრო სწრაფად. მათ საქმეს მიჰბაძავენ ასობით, ათასობით, ათიათასობით ჩვენი მამაცი მებრძოლები და მეთაურები, თავისი დედა-სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

გლოვის ამ მძიმე ჟამს ჩვენ ყველანი, წითელი არმიის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტიკური მუშაკები განვიმეორებთ პოლინას მიერ ნახევარი წლის წინათ ნათქვამ სიტყვებს:

„ვაი მას, ვინც გაჰბედავს ხელჰყოს ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობა. ჩვენს საბრძოლო თვითმფრინავებს წავიყვანთ იქით, საიდანაც მტერი თავდასხმას გაჰბედავს. ჩვენ ულმობელი ვიქნებით ყველა მტრისადმი, რომელიც გაჰბედავს ხელჰყოს ჩვენი წმინდა საზღვრები".

მშვიდობით ჩვენო მეგობრებო, ჩვენო სახელოვანო მებრძოლო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი კორპუსის კომისარი ა. ი. ზაპოროჟეცი, მოსკოვის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ბრიგადის კომისარი ა. ა. ლობაჩევი, საბჭოთა კავშირის გმირი დივიზიის მეთაური ა. ი. ერემენკო, პოლკოვნიკი ა. ს. ოსიპენკო.

ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითი

მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკები მწუხარებას გამოსთქვამენ საბჭოთა კავშირის გმირების უდროოდ დაღუპვის გამო. სამხედრო მფრინავების—ანატოლი სეროვისა და პოლინა ოსიპენკოს სახელები მრავალი წლის განმავლობაში იქნება საბჭოთა ხალხისა, ბოლშევიკური პარტიისა, მთავრობისა და დიდი სტალინისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითი. ეს სახელები მოგვიწოდებენ საგმირო საქმეებისაკენ სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ.

საბჭოთა კავშირის გმირი **მოლოკოვი**, საბჭოთა კავშირის გმირი **გრიზოდუბოვა**, საბჭოთა კავშირის გმირი **სლეპნევი**, საბჭოთა კავშირის გმირი **გორანოვი, კარტუშევი, ლოგინოვი, სემიონოვი.**

შევჩენკოს ხსოვნის საღამო პარიზში

პარიზი, 11 მაისი (საკდესი). გუშინ პარიზში „ქიმიის სახლში" შესდგა დიდი უკრაინელი პოეტის ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც „საერთაშორისო თანამეგობრობის კავშირის" საფრანგეთის სექციამ მოაწყო.

„ქიმიის სახლის" დარბაზში, რომლის აუდიტორიაც ხალხით იყო გაჭედილი, შევჩენკოს ცხოვრების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პროფესორი პოლ ბუაიე. შემდეგ წაკითხულ იქნა ნაწყვეტები შევჩენკოს ნაწარმოებებიდან. „პარიზის სახალხო გუნდმა" შეასრულა უკრაინული სიმღერები პოეტის სიტყვების მიხედვით.

„ქიმიის სახლის" ფოიეში მოწყობილი იყო შევჩენკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

უახლოეს დღეებში ეს გამოფენა ნაჩვენები იქნება საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფკავშირთა მუშაობის შესახებ

(პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმის დადგენილება ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო, 1939 წლის 28 აპრილს მიღებული)

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. საბჭოთა ხალხისათვის, მშრომელთა ყველა ორგანიზაციისათვის, პროფკავშირებისათვის ეს გადაწყვეტილებანი უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის ბრძოლის პროგრამას წარმოადგენენ.

ამხანაგ სტალინის მოხსენება და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი მშრომელებს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების მისაღწევად თავგამოდებული ბრძოლისა და ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანებენ.

ბოლშევიკური პარტიის გენერალური ხაზის სრული გამარჯვების შედეგად, ჩვენს ქვეყანაში ძირითადად განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი. საბოლოოდ ლიკვიდირებულნი არიან ექსპლოატატორული კლასები, მთლად მოსპობილია ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ ადამიანების მიერ ადამიანის ექსპლუატაციას.

წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ სსრ კავშირმა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს გაუსწრო და პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. განუხრელად იზრდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. მეორე ხუთწლედის განმავლობაში სახალხო მოხმარება ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა.

მხილება და განადგურება ფაშიზმის ტროცკისტ - ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტებისა, რომელნიც თავიანთი იმპერიალისტი ბატონ-პატრონების დავალებით ცდილობდნენ კაპიტალისტური მონობა და ჩაგვრა აღედგინათ ჩვენს ქვეყანაში, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს.

სოციალიზმის გამარჯვებათა საფუძველზე გაიშალა ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ - პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო და იგი უსაზღვროდ ერთგულია საბჭოთა ხელისუფლებისა, ბოლშევიკური პარტიისა, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისა.**

ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში საბჭოთა ხალხის წინაშე დასვა ისტორიული ამოცანა: უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიურად გაუსწროს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რათა თავის ქვეყანაში პროდუქტთა სიუხვე შექმნას, მოხმარების საგნებით აავსოს თავისი ქვეყანა და ამით კომუნიზმის პირველი ფაზიდან მის მეორე ფაზაზე გადასვლის შესაძლებლობა მიიღოს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მიღებული, უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ამ მსოფლიო - ისტორიული ამოცანის განხორციელების გზაზე.

პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი პროფკავშირების წინაშე უდიდეს ამოცანებს აყენებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამაღლებისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად ფართო მასების მობილიზაციის დარგში, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ყოველნაირად ზრდის, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლის დარგში, მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი მოუწოდებს პროფკავშირულ ორგანიზაციებს საფუძვლად დაუდონ პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი მთელ თავის შემდგომ მუშაობას და ბოლშევიკურად გაატარონ ისინი ცხოვრებაში.

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას ფართოდ გაშალონ მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე, კლუბებში, წითელ კუთხეებში, საერთო საცხოვრებლებში ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა და ეს მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ სახალხო მეურნეობის მოცემული დარგისა და მოცემული საწარმოს კონკრეტული ამოცანების ახსნა-განმარტებას.

2. დაევალოს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება და თავისი ყოველდღიური, საქმიანი და პრაქტიკული ხელმძღვანელობით უზრუნველჰყონ მისი გადაქცევა მილიონიანი მასების მძლავრ მოძრაობად იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს მესამე სტალინური ხუთწლედის დიად სამუშაოთა გეგმა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოციალისტური შეჯიბრების წარმატებას ყველაზე უკეთ აღწევენ იქ, სადაც პროფკავშირული ორგანიზაციები, დაწყებული პროფჯგუფით, აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, იქ, სადაც პროფჯგუფორგი შეჯიბრების თაოსანია, მისი ორგანიზატორი და წინამძღოლია.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ძალა მათ მასობრიობაში მდგომარეობს. გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო იმ მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციების უვარგის პრაქტიკას, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ზემოდან, კანცელარიულად უდგებიან.

პროფკავშირთა ცენტრალურმა და საოლქო კომიტეტებმა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა, საამქრო კომიტეტებმა და პროფჯგუფორგებმა მუშა-მოსამსახურეთა მიერ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა დადებისას უნდა უზრუნველჰყონ ვალდებულებათა კონკრეტულობა და მათი განხორციელების ვადების აღნიშვნა, მოაწყონ ხელშეკრულებათა შესრულების სისტემატური შემოწმება და ვალდებულებათა შესრულების გამოქვეყნება, ფართოდ უნდა გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა მუშაობა საქარხნო პრესაში (კედლის გაზეთებში, მრავალტირაჟიან გაზეთებში), რაიონულ, საოლქო და ცენტრალურ გაზეთებში, უნდა გამოაკრან მათი პორტრეტები საამქროებში, წითელ კუთხეებსა და კლუბებში.

3. დაევალოს საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, საამქრო კომიტეტებსა და პროფჯგუფორგებს უფრო ფართოდ მოაწყონ სტახანოველთა მუშაობის მეთოდების გადაცემა მუშებისა და მუშა-ქალებისათვის, უშუალოდ დაზგასთან სტახანოველთა მუშაობის მეთოდების ჩვენების მეშვეობით, სტახანოვური სკოლების მეშვეობით.

წინადადება მიეცეს პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველდღიური დახმარება გაუწიონ ტექნიკის დაუფლების საქმეში იმ მუშებსა და მუშა-ქალებს, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებენ, და მიაღწიონ იმას, რომ საწარმოებში აღარ იყოს აღარც ერთი ისეთი მუშა, აღარც ერთი მუშა-ქალი, რომელიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებდეს.

4. სტახანოვურმა მოძრაობამ მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების შემოქმედებითი ინიციატივის, გამომგონებლობითი აზრისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ფართოდ განვითარება გამოიწვია. გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისათვის ყოველდღიური ზრუნვა შრომის ნაყოფიერების ამაღლების ახალ რეზერვებს გამოავლინებს.

დაევალოს პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველნაირად განავითარონ მასობრივი მუშათა გამომგონებლობა, თავის დროზე გამოეხმაურონ გამომგონებელ და რაციონალიზატორ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა შემოქმედებითს ინიციატივას, მტკიცედ მოითხოვონ სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისაგან რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა განხორციელება.

5. მოწონებულ იქნას კოლომნის კუიბიშევის სახელობის ქარხნისა და სხვა ქარხნების მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების ინიციატივა მოწყობილობის, ინსტრუმენტთა, გამართულობისა და უშიშროების ტექნიკის საზოგადოებრივი შემოწმების მოწყობის დარგში.

რჩევა მიეცეთ პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფრო ფართოდ შემოიღონ მოწყობილობის, ინსტრუმენტთა, გამართულობისა და უშიშროების ტექნიკის საზოგადოებრივი შემოწმება როგორც მთლიანად საწარმოებში, ისე ცალკეულ საამქროებში, უბნებში, ჯგუფებში, დროულად და სრულად განახორციელებინონ სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მუშათა წინადადებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

6. აღინიშნოს, რომ ცალკეულ საწარმოებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია შრომის ორგანიზაცია, რის შედეგადაც ხშირია მუშების გაცდენა (ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, ვოროშილოვგრადის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ორთქლმავალმშენებელი ქარხანა და სხვა). გაცდენანი დიდ ზიანს აყენებენ სახალხო მეურნეობას და უარყოფით გავლენას ახდენენ მუშათა ხელფასზე.

პლენუმი ჰგმობს პროფკავშირული ორგანიზაციების პასიურ დამოკიდებულებას გაცდენებისადმი და მოითხოვს პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტებისაგან, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისაგან — აქტიურად ებრძოლონ გაცდენებს.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოარკვიონ გაცდენათა მიზეზები, გამოავლინონ კონკრეტული დამნაშავენი და გადაჭრით ეცადონ, რათა სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა აღმოფხვრან გაცდენები, სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ხოლმე ის პირნი, რომელთაც ბრალი მიუძღვით გაცდენათა დაშვებაში.

7. მესამე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების აუცილებლად შესრულების მიზნით, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ მოითხოვა შრომის მტკიცე დისციპლინის უზრუნველყოფა საწარმოებსა და დაწესებულებებში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებამ „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ მნიშვნელოვნად განამტკიცა შრომის დისციპლინა საწარმოებსა და დაწესებულებებში. მაგრამ მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი გაცდენას, დაგვიანებასა და შრომის შინაგანაწესის წესების სხვა დარღვევას.

პლენუმი ავალებს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას ყოველდღიურად იბრძოლონ იმისათვის, რომ შრომის დისციპლინის შესახებ კანონები განუხრელად სრულდებოდეს, რომ ყველა მუშა და მოსამსახურე ზუსტად და წესიერად იცავდეს სამუშაო დღის დაწესებულ ხანგრძლივობას.

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის უდიდეს ნაკლად მიაჩნია ის, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს და არ იყენებენ მათ შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გამცდენების, ფრენიების და დოყლაპიების გარშემო უნდა შექმნან საზოგადოებრივი აზრი, როგორც წარმოების დეზორგანიზატორებზე, საამისოდ გამოიყენონ საამხანაგო სასამართლოები, პრესა, კლუბები, წითელი კუთხეები და შრომის დისციპლინის ბოროტ დამრღვევთა საკითხი დასვან მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააჩაღონ მუშაობა იმისათვის, რომ საწარმოებში შენარჩუნებულ იქნან მუშათა კადრები, მიიღონ ზომები იმ მიზეზების მოსასპობად, რომლებიც იწვევენ საწარმოდან მუშათა და მოსამსახურეთა წასვლას, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ იმისათვის, რომ ახლადმიღებულ მუშათა და მოსამსახურეთა გარშემო შეიქმნას ამხანაგური ატმოსფერო, გაუწიონ მათ დახმარება მუშაობის რაც შეიძლება სწრაფად ათვისებაში და კვალიფიკაციის მიხედვით მუშათა და მოსამსახურეთა დაწინაურებაში.

8. შრომის დისციპლინის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესება და ამ საქმეში ბოროტმოქმედებათა ლიკვიდაცია. ამავე დროს კი, ბევრი საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი არღვევს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას იმით, რომ უმართებულოდ განსაზღვრავს შრომის დროებითი უუნარობის გამო დაწესებულ დახმარებას. შრომის დროებითი უუნარობის გამო დახმარების ოდენობის განსაზღვრისას ფაბქარხკომები არ ხელმძღვანელობენ შრომის წიგნაკებში არსებული ჩანაწერებით მოცემულ საწარმოსა ან დაწესებულებაში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟის გამოსარკვევად.

პლენუმი ჰგმობს იმ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას, რომელნიც არღვევენ სოციალური დაზღვევის ხაზით გასაცემი დახმარების ოდენობას, რაც დაწესებულია 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით.

დაევალოს პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს გააუმჯობესონ სოციალური დაზღვევის საბჭოებისა და კომისიების მუშაობა, დააწესონ ყოველდღიური კონტროლი, თუ რამდენად სწორად ხდება შრომის დროებითი უუნარობის გამო დახმარების განსაზღვრა და გაცემა და პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელნიც დამნაშავენი იქნებიან დახმარების იმ ოდენობის დარღვევაში, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით.

წინადადება მიეცეს ყველა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტს, შრომის დროებითი უუნარობის გამო დახმარების ოდენობის განსაზღვრის მიზნით მოცემულ საწარმოში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟის გამორკვევისას აუცილებლად იხელმძღვანელონ შრომის წიგნაკებში არსებული ჩანაწერებით.

დაევალოს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს მოისმინოს სსრ კავშირის ჯანსახკომის მოხსენება მუშა - მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ და იმ ღონისძიებათა შესახებ, რასაც ჯანსახკომი იყენებს იმ ექიმების მიმართ, რომლებიც გამცდენლებსა და სიმულანტებს საავადმყოფო ფურცლებს აძლევენ.

9. მიუხედავად პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის მითითებისა იმის შესახებ, რომ პროფესიული კავშირების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს ხელფასის საკითხების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა, დღევანდლამდე პროფკავშირების მუშაობას ხელფასის დარგში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი ახლავს.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ხელფასის სწორი ორგანიზაციისათვის ბრძოლას ცენტრალური ადგილი ეკავოს მთელს მათ მუშაობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

ხელფასის დარგში და შრომის ნაყოფიერების გადიდების მხრივ პროფკავშირთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს მასობრივ-საწარმოო მუშაობის განყოფილებათა და ხელფასის განყოფილებათა გაერთიანება პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოსა და პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებში და მასობრივ-საწარმოო მუშაობის კომისიების გაერთიანება საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ და საამქრო კომიტეტებთან არსებულ ხელფასის კომისიებთან.

10. წინადადება მიეცეს პროფკავშირთა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს და საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ძირიან - ფესვიანად გააუმჯობესონ პროფკავშირული აქტივის ბოლშევიკური აღზრდა, გაუწიონ მას დახმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის საფუძველზე, რისთვისაც მოაწყონ ლექციები და კონსულტაციები.

პლენუმი წინადადებას აძლევს პროფკავშირულ ორგანოებს ყოველმხრივ შეისწავლონ პროფკავშირული აქტივი პრაქტიკულ მუშაობაში, უზრუნველჰყონ ყოველდღიური დახმარების გაწევა თვითეული აქტივისტისათვის მის ზრდაში, გამოიყენონ პროფაქტივისტები სამუშაოზე, მათი უნარისა და სურვილის გათვალისწინებით, უფრო ფართოდ და გაბედულად დააწინაურონ გაზრდილი პროფაქტივისტები და საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, საოლქო და ცენტრალური კომიტეტების მუშაკები ხელმძღვანელ სამეურნეო, საბჭოთა და საზოგადოებრივ სამუშაოზე.

11. პროფესიულ კავშირებს უდიდესი მატერიალური ბაზა მოეპოვებათ მშრომელების კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და დასვენების მოსაწყობად (6.000 კლუბი და კულტურის სასახლე, 15.000 ბიბლიოთეკა, 100.000 წითელი კუთხე, 1.800 რადიოკვანძი, 10.000-ზე მეტი კინოდანადგარი). მაგრამ ამ ბაზას ხშირად სრულიადაც არ იყენებენ საკმაოდ. მთელი რიგი პროფკავშირული კლუბები, კულტურის სასახლეები, წითელი კუთხეები მოუვლელია, შენობები მოუწყობელია, არ არსებობს საჭირო კულტურული პირობები. მაგალითად, სამხრეთის რკინიგზების მუშათა პროფკავშირის ხარკოვის კულტურის სასახლე, ნაცვლად იმისა, რომ კულტურული დაწესებულების ნიმუშთა და მშრომელთა დასვენების საყვარელ ადგილს წარმოადგენდეს, მოუვლელ და ბინძურ მდგომარეობაშია. აღმოსავლეთის რკინის მადნის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის მაგნიტოგორსკის კლუბში სახურავი დაზიანებულია, წვიმის დროს ოთახებში წყალი ჩამოდის.

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმი პროფკავშირთა ცენტრალური და საოლქო კომიტეტების, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს დაამყარონ წესრიგი კლუბებსა, კულტურის სასახლეებსა და წითელ კუთხეებში, შექმნან იქ მყუდროება და კულტურული ვითარება, ოთხი თვის ვადაში მოახდინონ საჭირო რემონტი, მოამარაგონ ავეჯითა და კულტურული ინვენტარით. დაევალოს პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს მოაწყოს ამ გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება.

12. მესამე ხუთწლედში წარმოების ზრდის გეგმის შესრულების ერთერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს სხვადასხვა სპეციალობის 8 მილიონი კვალიფიციური მუშის მომზადება.

დაევალოს პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ღონისძიებებში, რომლებსაც სამეურნეო ორგანოები ატარებენ იმ მიზნით, რომ განახორციელონ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი მასობრივი პროფესიებისა და სოციალისტური შრომის ოსტატთა სკოლებისა და კურსების ფართო ქსელის გაშლის შესახებ.

პროფკავშირული ორგანიზაციები დახმარებას უნდა უწევდნენ სამეურნეო ორგანოებს სკოლებისა და კურსების დაკომპლექტებაში და იმ მუშათა სწორად გამოყენებაში, რომელთაც კვალიფიკაცია აიმაღლეს.

13. მხედველობაში იღებს რა მუშათა და მოსამსახურეთა უდიდეს მისწრაფებას თავისი ზოგადი განათლების დონის ამაღლებისაკენ და განათლების საღამოს სკოლების არსებული ქსელის არასაკმაოობას, პლენუმი ავალებს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო განათლების სახალხო კომისარიატებთან ერთად შეიმუშაოს გეგმა პრაქტიკული ღონისძიებებისა ზოგადი განათლების საღამოს სკოლებისა და კურსების ფართო ქსელის ორგანიზაციისათვის, რაც საშუალებას აძლევს მუშებსა და მოსამსახურეებს წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღონ საშუალო განათლება.

14. რადგან პარტიის XVIII ყრილობის მიერ განსაკუთრებული ამოცანებია დასახული ინდუსტრიის წამყვანი დარგების (დაზგათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, ხარისხოვანი ფოლადების წარმოება, სათბობი) შემდგომი განვითარებისა და სატყეო მრეწველობის და წყლის ტრანსპორტის ჩამორჩენის ლიკვიდაციის საქმეში, დაევალოს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმს განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიოს აღნიშნული დარგების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირების მუშაობას და დაეხმაროს მათ მასების მობილიზაციაში პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

15. პარტიის XVIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა ინტელიგენციის დიდი როლი ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაჭრაში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმ პროფესიულ კავშირთა მუშაობას, რომელნიც აერთიანებენ სახელმწიფო აპარატისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს, სკოლებისა და მეცნიერულ დაწესებულებათა, სამედიცინო დაწესებულებათა, სამიწათმოქმედო ორგანოების, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს. დაევალოს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს მიიღოს ზომები ამ პროფკავშირთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელი პროფორგანოები კავშირის წევრებს დაუახლოვდნენ და გაუმჯობესდეს პროფორგანიზაციების მუშაობა, დაწვრილერთეულდეს შემდეგი პროფესიული კავშირები: სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებისა, რსფსრ მედიკურ-სანიტარული შრომის მუშაკებისა, რსფსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკებისა, სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებისა, კავშირგაბმულობის მუშაკებისა და სხვა პროფკავშირები.

16. მიუხედავად პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VII პლენუმის მითითებისა იმის შესახებ, რომ ფართოდ გაიშალოს მასობრივი კონტროლი მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, ბევრი პროფკავშირი უაღრესად არადამაკმაყოფილებლად აწყობს მასობრივ კონტროლს საბინაო მშენებლობის მიმართ, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობის მიმართ, მაღაზიების, ფარდულების, სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის მიმართ (რეზინ-კაუჩუკის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტი, აღმოსავლეთის შავი მეტალურგიის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალურ რაიონთა ქვანახშირისა და ფიქალის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტი, კავშირგაბმულობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი და სხვები).

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი მოითხოვს ყველა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან გააძლიერონ ზრუნვა პროფკავშირთა წევრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის და მოაწყონ საბინაო მშენებლობის, საბავშვო და სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობისა და სავაჭრო ქსელის, სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის საქმიანი კონტროლი.

17. მრავალი პროფესიული ორგანიზაციის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სისუსტის გამო, მუშათა და მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ პროფესიულ კავშირთა რიგებს გარეშე იმყოფება.

პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას, ყოველმხრივ გააუმჯობესონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა და ეცადონ მთლიანად ჩააბან მუშები და მოსამსახურეები პროფკავშირებში. ბოლო უნდა მოეღოს საქმის გაჭიანურებას პროფკავშირში მუშათა და მოსამსახურეთა მიღების დროს. დაწესდეს, რომ კავშირის წევრად მიღების გაფორმება უნდა ხდებოდეს არაუმეტეს, ვიდრე ერთი თვის ვადაში.

პლენუმი გადაჭრით ჰგმობს ადმინისტრირებას და მექანიკურ მიდგომას პროფკავშირიდან გარიცხვისადმი და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს, რომ პროფკავშირიდან გარიცხვის საკითხის გადაჭრის დროს უზრუნველყოფილ იქნას პროფკავშირის წევრისადმი ყურადღებით მოპყრობა და საქმის გულდასმით გარჩევა.

დაწესდეს, რომ პროფკავშირის წევრობიდან გარიცხვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საერთო კრებების გადაწყვეტილებით პროფკავშირის რაიონული ან საოლქო კომიტეტის მიერ შემდგომი დამტკიცებით, ხოლო დიდ საწარმოებში — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის მიერ დამტკიცებით.

18. პლენუმი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევს მუშათა და მოსამსახურეთა მომზადებას ქვეყნის დაცვისათვის და ავალებს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი პროფკავშირთა თავდაცვითი მუშაობის შემდგომი გაშლისათვის.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები ბოლშევიკურად მოაწყობენ თავის მუშაობას და უზრუნველჰყოფენ ფართო მასების მობილიზაციას მესამე სტალინური ხუთწლედის დიად სამუშაოთა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი მოუწოდებს პროფესიულ კავშირთა ყველა წევრს, ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსს, მოსამსახურეს, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეს ყოველმხრივ განამტკიცონ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე, დაუზოგავად ამხილონ და აღმოფხვრან სამშობლოს საზიზღარი მოღალატენი, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა აგენტები, აქტიურად ჩაებან მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში, უფრო მჭიდროდ დაირაზმონ სოციალიზმის გამარჯვებათა ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის — სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) გარშემო, მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო და შეთანხმებული მუშაობით უზრუნველჰყონ ახალი გამარჯვებათა მოპოვება კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

სოფლის სკოლების მოწინავე მასწავლებელთა დაჯილდოება

„კომუნისტის“ 8 და 11 მაისის ნომრებში მოთავსებული იყო სიები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებული სოფლის სკოლების მოწინავე მასწავლებლებისა საქართველოდან.

ვაქვეყნებთ საქართველოდან დაჯილდოებულ მასწავლებელთა სიის დასასრულს.

ლენინის ორდენით

1. თეოფილე გიორგის-ძე **ქუთათელაძე** — ბაღდათის რაიონის ბაღდათის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
2. ლონგინოზ იპოლიტეს-ძე **ნიჟარაძე** — ქუთაისის რაიონის სოფ. ტყაჩირის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
3. ვლადიმერ ზაალის-ძე **რობიტაშვილი** — გურჯაანის რაიონის ახაშენის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
4. ალექსანდრე გიორგის-ძე **სამადაშვილი**—ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის საშუალო სკოლის დირექტორი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. ევტიხი ივლიანეს-ძე **ნიკოლაძე** — ჩხარის რაიონის სოფელ ჩხარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
2. იროდიონ ავქსენტის - ძე **ოკუჯავა** — ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს საშუალო სკოლის დირექტორი.
3. სოფიო სიმონის-ასული **ხარაზია** — სოხუმის რაიონის სოფელ ეშერის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
4. გიორგი იოსების-ძე **ხეცურიანი** — ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის საშუალო სკოლის დირექტორი
5. ალექსი მათის-ძე **ცანავა**—ცხაკაიას რაიონის სოფელ მენჯის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი.
6. აბელ პეტრეს-ძე **ჭეჟია** — ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
7. ივანე ნიკიფორეს-ძე **ჩხაიძე** — ბათუმის რაიონის სოფელ ჩიგუნეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
8. შალვა პლატონის-ძე **ჩხაიძე**— მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
9. პავლე ბესარიონის-ძე **შანავა**— წალენჯიხის რაიონის სოფელ წალენჯიხის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. ასტამურ ნიკოლოზის-ძე **მარლანია**—სახალხო განათლების ოჩამჩირის რაიონის განყოფილების გამგე.
2. სონია ივანეს-ასული **მეფარიძე** —ჩხარის რაიონის თერჯოლის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
3. ეკატერინე ნესტორის - ასული **მინდაძე** — ქობულეთის რაიონის ქვედა-სამების დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
4. ალექსანდრე მიხეილის-ძე **ნიქაბაძე** — ზესტაფონის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.
5. ოლღა ლუკას-ასული **ნიშნიანიძე** — ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
6. ლეონიდე ალექსანდრეს-ძე **თედეევი** — სტალინირის რაიონის დოდოხის დაწყებითი სკოლის გამგე.
7. ალექსანდრა ყარამანის - ასული **ფელანგია** — ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
8. ვასილი ისაკის-ძე **ხუციშვილი** — ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
9. ვიტალი დიონისის-ძე **ცხოვრებოვი** — სამხრეთ-ოსეთის სოფელ ჯრიას საშუალო სკოლის დირექტორი.
10. ლიდია გიორგის-ასული **ჩინჩალაძე**—ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედაილმის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
11. ოლღა ხარიტონის-ასული **ეზუგბაია**—ოჩამჩირის რაიონის ნოდოლევის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. გიული ჯემალის-ასული **ინაშვილი**—ხულოს რაიონის სოფელ ხულოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
2. ფირუზა ავეტისის-ასული **კრბაშიანი** — გაგრის რაიონის პილენკოვოს საშუალო სკოლის მასწავლებელი.
3. ლევან ეფრემის-ძე **ლაზარაშვილი** — ასპინძის რაიონის კარაბის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
4. ვერა პავლეს-ასული **ლაშხი** — ამბროლაურის რაიონის კრიხის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
5. მეხტი ისმაილ-ოღლი **მამედოვი** —ბორჩალოს რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი.
6. ალექსი არშაკის-ძე **მარქაროვი** —ალბულაღის რაიონის კოდის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
7. გრიგოლ სიმონის-ძე **ლომიძე**— ლაგოდეხის რაიონის ბუდიონოვკის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
8. გრიგოლ ნიკოლოზის-ძე **მაღალთაძე** — კასპის რაიონის დოესის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
9. იონა კონსტანტინეს-ძე **მექვაბიშვილი** — ჩოხატაურის რაიონის იანეულის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
10. ბინაში ფეიზულ ოღლი **მეცკარიძე** — ახალციხის რაიონის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
11. ელენე ფორიას-ასული **მირიანაშვილი** — სიღნაღის რაიონის მაჩხაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
12. ბეგლარ ესტატეს-ძე **მოდებაძე** — ჭიათურის რაიონის შუყილაძეების დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
13. ყარა ბაირამ ოღლი **ნასიბოვი** — ლუქსემბურგის რაიონის ქვემო-შულავერის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
14. სანდრო არჩილის-ძე **ნოზაძე**— ხაშურის რაიონის ალის საშუალო სკოლის დირექტორი.
15. გაიოზ იოსების-ძე **ნუკბნიანი** — ქვემო-სვანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.
16. სპირიდონ ლევანის-ძე **პარწიკანაშვილი** — თელავის რაიონის ბირნიანის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
17. ჩირკაზ შახვალად ოღლი **სარვანლი** — ასპინძის რაიონის არდახის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
18. ფუშა მალხაზის-ასული **სახოკია** — წალენჯიხის რაიონის ობუჯის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
19. აკაკი ონისიმეს-ძე **სიჭინავა** — ფოთის რაიონის პატარა ფოთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
20. მანუშაკ არმენაკის - ასული **სტეპანიანი** — წალკის რაიონის დაშბაშის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
21. ამბროსი პავლეს-ძე **თავაძე** — გორის რაიონის ატენის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
22. ვიქტორ კონსტანტინეს-ძე **ტარბა** — გუდაუთის რაიონის დურიფშის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
23. ალექსი ბაგრატის-ძე **თევდორაშვილი** — გურჯაანის რაიონის კაჭრეთის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
24. ვახტანგ ივანეს-ძე **თეთვაძე**— ახალქალაქის რაიონის პრტენის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
25. ამბროსი ალექსის-ძე **თოდაძე** — ონის რაიონის ზვარეთის საშუალო სკოლის დირექტორი.
26. ევგენია იაგორის-ასული **უშვერიძე** — ალბულაღის რაიონის სოფელ ერტისის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
27. ლიდა მექის-ასული **ხაზარაძე**— ქუთაისის რაიონის მაღლაკის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
28. სულეიმან რიჯების-ძე **ხვინია** — ქედის რაიონის დანდალოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
29. გოგოლა ონიფანტეს-ასული **ცინცაძე** — ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
30. ზინაიდა ვართანის-ასული **ჩილაჩავა** — ზუგდიდის რაიონის ჭითაწყარის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
31. ელენე ალექსანდრეს-ასული **შუშანაშვილი** — თიანეთის რაიონის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. უშანგი ერასტის-ძე **მელაძე** — ქედის რაიონის ცხმორისის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
2. ქსენია პორფილეს-ასული **ხობუა** — ზედამახუნცეთის (აჭარის ასსრ) დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

ორჯონიკიძის რაიონმა შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა

ორჯონიკიძის რაიონმა გასულ წელთან შედარებით ერთი თვით ადრე დაამთავრა საგაზაფხულო კულტურების თესვა. 6 მაისისათვის დათესილი იყო 8.785 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.780 ჰექტარისა. გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით.

ვაზის მყნობის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით. დამყნილია 1.324.707 ვაზი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.241.200-სა.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი საყვარელიძე
რაიაღმასკომის თავმჯდომარე ხიხაძე

ხალხთა სტალინური მეგობრობა ურყევია

ტყიბულის მაღაროელთა დელეგაციის დაბრუნება უკრაინიდან

როგორც მკითხველებმა იციან, ტყიბულის მაღაროელების დელეგაციამ შვიდი დღე დაჰყო დონბასში, სადაც იგი ეცნობოდა მოწინავე შახტების სტახანოველებისა და ნახშირის ოსტატების მუშაობის გამოცდილებას.

დელეგაციამ დაათვალიერა ქალაქ ორჯონიკიძის, გორლოვკის, სტალინოს მექანიზებული, უმაღლესი ტექნიკით შეიარაღებული მაღაროები, რომელთა მუშაობის გაცნობამ უმდიდრესი გამოცდილება შესძინა ქართველ მაღაროელებს. დელეგატებს ყველგან გულთბილ, ძმურ შეხვედრას უწყობდნენ.

გუშინ დელეგაცია თბილისში დაბრუნდა.

გამომგზავრების წინ ტყიბულის მაღაროელების დელეგაციამ სოციალისტური დონბასის მაღაროელებს მიმართა წერილით, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

გუშინ, უკრაინიდან თბილისში დაბრუნდა ტყიბულის მაღაროელთა დელეგაცია. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) ი. მუავანაძე, კ. კაკაურიძე, ი. ცეცხლაძე, ა. დარსაძე, ი. გორგიძე, ქ. შალიკაშვილი, კ. ბეშკენაძე, ფ. ნაჭყეპია.

ფოტო მ. დუვინსკისა

ტყიბულის მაღაროელების დელეგაციის წერილი დონბასის მაღაროელებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ტყიბულქვანახშირისა და „ორჯონიკიძეუგოლის“ მაღაროელებს შორის ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი დიადი სამშობლოს ორი მოძმე რესპუბლიკის — აყვავებული უკრაინისა და მზიანი საქართველოს ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად იქცა.

ჩვენ ექვსი დღე გავატარეთ „ორჯონიკიძეუგოლის“ მაღაროელებთან. ყველგან გვხვდებოდნენ სტუმართმოყვარულად და გულთბილად, როგორც ღვიძლ ძმებს. ჩვენ ვნახეთ მაღაროები, კულტურის სასახლეები, მაღაროელთა დასასვენებელი სახლები, სტახანოველთა ბინები. ყველგან ვხედავდით სტალინურ ზრუნვას ადამიანებზე, დონეცის მაღაროელთა საამურ და კულტურულ ცხოვრებას.

„ორჯონიკიძეუგოლის“, ისევე როგორც მთელი დონბასის მაღაროები შეიარაღებულია ახალი მდიდარი ტექნიკით. ჩვენმა ქვეყანამ მაღაროელებს ხელთ მისცა მძლავრი საბჭოთა ტექნიკა — სანგრევი უროები, ელექტრომავლები, საყელავი მანქანები და სხვა პირველხარისხოვანი მექანიზმები. განსაკუთრებით სასიხარულო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ჰიდროშახტმა, რომელშიც ქვანახშირს წყლის საშუალებით იღებენ. ახლა დონბასში ქვანახშირს იღებენ მანქანებით და არა ხელით. მაღაროელის შრომა იქცა ღირსების, სიმამაცისა და გმირობის საქმედ.

კარგად ცხოვრობენ მაღაროელები. ჭუჭყიანი ქოხებისა და მიწურების ადგილას აღმოცენდა კეთილმოწყობილი ქალაქები და მუშათა დაბები ახალი სკოლებით, საბავშვო ბაღებითა და ბაგებით, კულტურის სასახლეებით, პარკებით, ფართო ნათელი სახლებით. ყოველივე ეს შედეგია მაღაროელებზე პარტიისა და მთავრობის და პირადად ამხანაგ **სტალინის** ყოველდღიური ზრუნვისა.

ჩვენ გავეცანით „ორჯონიკიძეუგოლის“ მაღაროელთა სტახანოვური მუშაობის მდიდარ გამოცდილებას — ციკლურობის გრაფიკის დანერგვას, რომელიც სწყვეტს ქვანახშირის წარმატებით ამოღებას, გავეცანით მოსამზადებელ და კაპიტალურ სამუშაოთა შესანიშნავ ორგანიზაციას. ჩვენ ვნახეთ, როგორ ხორციელდება სტალინური მითითება ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ბოლომდე ერთგული ახალგაზრდა კადრების ბოლშევიკურად გამოზრდისა და გაბედულად დაწინაურების შესახებ.

საქართველოში დაბრუნებისას ჩვენ დავნერგავთ დონბასის მაღაროელთა უმდიდრეს გამოცდილებას ჩვენს ქვანახშირის მრეწველობაში, გავხდით მას თვითეული მაღაროელის კუთვნილებად.

ამხანაგებო! ტყიბულისა და ორჯონიკიძის მაღაროელთა შორის სოციალისტურმა შეჯიბრებამ უზრუნველჰყო შეჯიბრებაში ჩაბმული ტრესტების მიერ პირველი კვარტალის გეგმების შესრულება. მაღაროებში გამოიზარდნენ ახალი შესანიშნავი სტახანოველები. მათ შორის უკეთესნი მთავრობამ დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მაგრამ ჩვენ, ამხანაგებო, ვერ განვამტკიცეთ პირველი კვარტალის წარმატებანი. აპრილის გეგმა ორივე ტრესტის კოლექტივმა ვერ შეასრულა, გააუარესა თავისი მუშაობა აგრეთვე „სტალინუგოლის“ მთელმა კომბინატმა. ჩვენს ქვეყანას დააკლდა ათასობით ტონა სათბობი, რომელიც მას ასე ესაჭიროება.

ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობამ ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა — ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს გვავალებს ჩვენ, მაღაროელებს, გავზარდოთ ქვანახშირის ამოღება. ჩვენ არა მარტო უნდა დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მიმდინარე მოთხოვნილება სათბობზე, არამედ უნდა შევქმნათ სახელმწიფო მარაგიც (რეზერვები).

ჩვენ, ამხანაგებო, უფლება არ გვაქვს ისე ვიმუშაოთ, როგორც ვმუშაობთ ახლა. სოციალისტურ სამშობლოს ესაჭიროება ბევრი ქვანახშირი და ჩვენ უნდა მივცეთ მას ეს ქვანახშირი. მაშ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოსა და უკრაინის მაღაროელთა შორის. ფართოდ დავნერგოთ საუკეთესო მაღაროელთა მუშაობის გამოცდილება და დავეხმაროთ ჩამორჩენილებს, რომ მივაღწიოთ ქვანახშირის ამოღების საერთო ზრდას. ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი ვალდებულება, რომელიც ჩვენ ავიღეთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის შეჯიბრებასთან დაკავშირებით.

გაუმარჯოს უკრაინელი და ქართველი ხალხების ურყევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშრომელთა დიდ ბელადს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ **სტალინს!**

ტყიბულის მაღაროელთა დელეგაცია:

კ. კაკაურიძე, — დელეგაციის ხელმძღვანელი, მაღაროელთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ი. გორგიძე — ლენინის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

ფ. ნაჭყეპია — ლენინის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერი.

ქ. შალიკაშვილი — ლენინის სახელობის მაღაროს უბნის უფროსი.

ა. დარსაძე — ლენინის სახელობის მაღაროს სტახანოველი მნგრეველი.

კ. ბეშკენაძე — ორდენოსანი, სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი მნგრეველი.

ი. ცეცხლაძე — სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი მნგრეველი.

ი. მუავანაძე — სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველი ვამგორებელი.

ტყვარჩელის მაღაროელთა დელეგაციის გამგზავრება დონბასში

(სოხუმი, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

გუშინ, 11 მაისს, დონბასში გაემგზავრა ტყვარჩელის მაღაროელთა დელეგაცია, რომელშიც შედიან: ქვანახშირის ცნობილი ოსტატი, პირველი უბნის ბრიგადირი **ანდრეი ბესარაბი,** მეოთხე უბნის მოსამზადებელ სამუშაოთა ოსტატი სტახანოველი **ტრიფონ მაქაცარია,** ტრესტის მთავარი ინჟინრის თანაშემწე **არქიპო ლაბახუა** და მაღაროელთა კავშირის რაიკომის თავმჯდომარე **გრიგოლ მელაძე.**

დელეგაცია მიდის „ვოროშილოვგრადუგოლის“ (სერგოს რაიონი) № 22-6 და № 77 შახტების მაღაროელებთან.

დელეგაციის წევრებმა გამგზავრების წინ განაცხადეს, რომ ისინი დიდი სიხარულით მიდიან დონბასელ მაღაროელებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად, აგრეთვე მათი მუშაობის გასაცნობად. № 22 შახტის მუშაობის გაცნობა მათ დიდ სარგებლობას მოუტანს, რადგან ეს შახტი ციკლურობის მხრივ მოწინავედ ითვლება. დელეგაცია დონბასელებთან დარჩება ათ დღეს.

10 მაისს ტყვარჩელში შესდგა მიტინგები, რომლებზეც განხილულ იქნა ხელშეკრულების ტექსტი. ტყვარჩელელებმა დელეგაციის წევრებს დაავალეს მხურვალე მეგობრული სალამი გადასცენ უკრაინელ მაღაროელებს.

გ. მერკვილაძე

ეგნატე ნინოშვილი

(გარდაცვალებიდან 45 წლისთავის გამო)

1894 წლის მაისში სოფ. ჩოჩხათში (გურია) დაასაფლავეს გამოჩენილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა). მისი დასაფლავება საქართველოს მარქსისტულმა ახალგაზრდობამ საჯარო საპროგრამო გამოსვლისათვის გამოიყენა. ეს არჩევანი არ იყო შემთხვევითი.

ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და შემოქმედება ორგანიულად არის გადაჯაჭვული ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების გლეხებისა და მუშების ცხოვრებასთან. ნიჭიერი და შრომისმოყვარე ეგნატე საკუთარ თავზე განიცდიდა მაშინდელი ცხოვრების სიდუხჭირესა და საშინელებას. სწავლას მოწყურებულს, მუდამ განათლების მაძიებელს სწავლის საშუალება არ ჰქონდა. სახლში ანბანის გაზეპირების შემდეგ პატარა ეგნატე ვიღაც აზნაურ მღვდელს მიაბარეს, მაგრამ მღვდელმა თვითონ არ იცოდა მხედრული წერა-კითხვა. „სწავლების მაგიერ,—სწერს ეგნატე,—აუარებელ საქმეს მაკეთებინებდნენ, ერთ წამს არ მასვენებდნენ“. შემდეგ ეგნატე ფოთში წაიყვანეს, ვაჭართან დაჰყენეს. სწავლის მაგიერ აქაც მჭადს აცხობინებდნენ და საშინელ პირობებში აცხოვრებდნენ.

1871-1875 წლებში ეგნატე ძროხებსა და ცხვრებს მწყემსავდა და დროგამოშვებით სოფლის სკოლაში დადიოდა. 1876 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შევიდა, მაგრამ 1878 წელს მოწაფეთა „ბუნტის“ მეთაურობისათვის გარიცხეს „მგლის ბილეთით“. ეგნატემ ექსტერნად ჩააბარა გამოცდები მასწავლებლობაზე. ერთხანს მასწავლებლად მსახურობდა, შემდეგ ტელეგრაფისტად, ასოთამწყობად, სოფლის მწერლად. ერთ ადგილს ვერ ისვენებდა ეგნატე, მას ცხოვრება სწყუროდა, ისწრაფოდა ყოველმხრივ გასცნობოდა ხალხს, მის ცხოვრებას.

1886 წელს კაპეიკებით მოგროვილი თანხით ეგნატე საფრანგეთს გაემგზავრა, მაგრამ იქ შიმშილს ვერ გაუძლო და დიდი გაჭირვებით შესძლო სამშობლოში დაბრუნება. კვლავ იწყება ლუკმა-პურის ძებნა. ერთხანს გურიელთან იყო მწერლად, შემდეგ ბათუმის ქარხნებში მუშაობდა მეთუნუქედ, ბიდონების შემფუთავად, მარგანეცის მრეწველის კანტორაში მსახურობდა მოანგარიშედ.

მძიმე შრომამ, შიმშილმა უდროოდ გასტეხა, დაასნეულა მწერალი. ტუბერკულოზი ღრღნიდა მის ორგანიზმს. 1894 წლის 12 თებერვალს, სამი თვით ადრე გარდაცვალებამდე, ეგნატე ნინოშვილი, რომელიც მძიმე ავადმყოფი თავის სოფ. ჩოჩხათში იყო და ცხოვრობდა წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების პენსიით (თვეში 15 მანეთი!), სწერდა იაკობ გოგებაშვილს:

> „ჩემი ავათმყოფობა დაიწყო ორი მიზეზის გამო: ერთი — ხშირად ცუდ გარემოებაში ვცხოვრობდი, მეორე — გაუფრთხილებლად, დაუზოგავად ვეპყრობოდი თავისთავს. მტერსაც კი არ მოეპყრობა კაცი ისე უდიერად, როგორც მე ჩემს ჯანს ვეპყრობოდი“.

1894 წლის 12 მაისს ეგნატე ნინოშვილი გარდაიცვალა.

ეგნატე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როცა გურიის საზოგადოებრივი ცხოვრება ძალზე შერყა, როცა კლასობრივი დიფერენციაცია საგრძნობი გახდა. მართალია, ბატონყმობა გადავარდნილი იყო, მაგრამ უმიწოდ დატოვებული გლეხობა ისევ მემამულეებზე იყო დამოკიდებული. გლეხობა ორგვარად იყვლიფებოდა: ერთის მხრით მემამულე თავად-აზნაურობა და მეორე მხრით თვითმპყრობელობა უკანასკნელ ტყავს აძრობდნენ ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას. რუსეთისა და თურქეთის ომმა, ბათუმის შემოერთებამ, ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანამ დააჩქარა საზოგადოების კლასობრივად დაყოფა. ფული შეიჭრა სოფელში, თავადაზნაურობას ფული უნდოდა საქეიფოდ, მეფის მექრთამე მოხელეებს ფული უნდოდათ, ხაზინა ფულს ითხოვდა და ყველაფერი ეს გლეხის ზურგზე გადადიოდა: გლეხობაში დაიწყო არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მოძრაობა, რამაც ცხრაას ხუთი წლის რევოლუციაში ჰპოვა მძლავრი გამოხატულე-

ე. ნინოშვილი კარგად იცნობდა გურიას. მან თავის შესანიშნავ მოთხრობებში დაგვიხატა 80-90-იანი წლების გურია. მის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია არცერთი ახალი მოვლენა. მწერალმა მოგვცა მდიდარი გალერია ტიპებისა, დაუვიწყარი სურათები მაშინდელი გურიის საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

თავისი მოთხრობებისათვის ეგნატე მასალას იღებდა გურიის სინამდვილიდან, რომელიც მის თვალწინ დუღდა და ბობოქრობდა. მწერალი არ ალამაზებდა სინამდვილეს, არც ამახინჯებდა მას. იგი მხოლოდ მხატვრულად გადახარშავდა თავის შეგნებაში სინამდვილის მწარე სურათებს და ყოველ მოვლენას, ყოველ ამბავს მშრომელთა გათვითცნობიერების სამსახურში დააყენებდა.

მწერლის დამოკიდებულება მასალისადმი შესანიშნავად მოჩანს მის პირველ დიდ მხატვრულ ნაწარმოებში „ჯანყი გურიაში“. ეს ისტორიული რომანი აგვიწერს 1841 წლის აჯანყებას გურიაში. მწერალი დიდი სიზუსტით გადმოგვცემს ამ აჯანყების ამბავს. არცერთი თარიღი არ არის აღრეული. რომანში გამოყვანილია მთელი რიგი ისტორიული პიროვნებები (შალიკაშვილი, დადიანი, თავდგირიძე, ბრუსილოვი და სხვები), მაგრამ, მიჰყვება რა ისტორიულ ამბებს, მწერალი მათ აძლევს სწორ მარქსისტულ გაშუქებას. გლეხობა თავის აღშფოთებას მიმართავდა არა მარტო მეფის, არამედ თავადაზნაურობის წინააღმდეგაც და მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას. ეს მომენტი — აჯანყების კლასობრივი ხასიათი, შესანიშნავად აქვს ასახული ეგნატეს. ავტორმა რომანში შეიყვანა ახალი მომქმედი პირი ინტელიგენტი გიორგი, რომელიც აჯანყების მიზანს კლასობრივი ბრძოლის სავსებით გარკვეულ ფორმულაში აყალიბებს.

ბატონყმობა გადავარდა საქართველოში, მაგრამ რეფორმის გატარებისას გლეხობის აზრი არავის მიუღია მხედველობაში; „განთავისუფლებული“ გლეხები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. სიმწარემ და შიმშილმა გოგია უიშვილი, ეს უხმო გლეხი, პროტესტანტად გადააქცია. დაიღუპნენ კაცია მუნჯაძე („განკარგულება“), ივანე და ნიკო („პალიასტომის ტბა“), მაგრამ ე. ნინოშვილის უდიდესი ღირსება იმაშია, რომ მისი გმირების დაღუპვა სასოწარკვეთილებას არ იწვევს. გოგია უიშვილმა თავი მოიკლა, მაგრამ იგი დამარცხებული არ არის. მკითხველში ეს სურათები იწვევენ აღშფოთებას, საშინელ სიძულვილს მაშინდელი წესწყობილებისადმი და სურვილს — იბრძოლო უსამართლობის დასამხობად. ამაშია ეგნატეს შემოქმედების დიდი გამარევოლუციურებელი ძალა.

მაღალი მხატვრული ოსტატობით აქვს ე. ნინოშვილს აწერილი ქალების საშინელი ბედი მოთხრობებში: „პარტახი“, „უცნაური სენი“, „არშიყნი“, „ქრისტინე“. დაიღუპნენ ლიზა, ტასიკო, ვარდიკო, ქრისტინე, რომელთაც მშვიდი, ბედნიერი ცხოვრება სწყუროდათ. საშინელმა სინამდვილემ წაბილწა მათი მისწრაფება. ეგნატე მათ გვიხატავს დიდი გულთბილობითა და სიყვარულით. ცხოვრების წუმპის ფსკერზეა ქრისტინე, მაგრამ მკითხველი ამ წამებული ქალის მხარეზეა, რადგანაც ავტორი გვაგრძნობინებს: დამნაშავეა არა ქრისტინე, არამედ სოციალური გარემო, რომელშიაც ქალის ერთადერთი გზა იყო მონობა და სარასკიპო.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეგნატეს მოთხრობებში გადაგვარების გზაზე დამდგარი ფეოდალური კლასის ნაბოლარების ტიპებს. ტარიელ მკლავაძე, იასონ უქმაძე, მანუჩარ არწივაძე გარყვნილებაში ჩაიფლნენ. მწერალი არ იშურებს საღებავებს მათი ზნედაცემული ცხოვრების დასახატავად, რომ კიდევ უფრო გაალვივოს სიძულვილი ამ მუქთახორების წინააღმდეგ.

ეგნატეს შემოქმედებაში განცალკევებით დგანან დავით დროიძე, მოსე მწერალი,—ტიპები, წარმოშობილნი სოფელში კაპიტალის შეჭრის შედეგად. დავით დროიძე კულაკის კლასიკური ტიპია. დროიძე აქტიური კაცია, იგი ცეცხლითა და მახვილით, ქრთამითა და ჯაშუშობით მიდის სიმდიდრისაკენ. დროიძეს მწერალმა დაუპირისპირა ღარიბი გლეხი სიმონა. სიმონამ ალღო აუღო ცხოვრებას, შეიგნო მშრომელთა ინტერესები და სასტიკ წინააღმდეგობას უწევს სოფლის ბობოლას. დროიძემ იცის სიმონას ფასი. კულაკი ცდილობს კლასობრივი მტერი თავიდან მოიშოროს. სიმონასა და დროიძის შეტაკებაში ნინოშვილმა მოგვცა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის შესანიშნავი ასახვა. აქ ერთმანეთს შეხვდა ორი ახალი კლასი — კაპიტალიზმი და მშრომელთა მასა. ეს კიდევ არ არის ორგანიზებული პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ. სიმონას და მის მეგობრებს ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული კაპიტალიზმის მომავალი მესაფლავის—მუშათა კლასის როლი, მაგრამ დროიძე - სიმონას ბრძოლა წინამორბედია მომავალი დიდი რევოლუციური შეტაკებებისა, როცა ორგანიზებულ მუშათა კლასს გვერდში ამოუდგა ერთგული მოკავშირე—მშრომელი გლეხობა.

45 წელი შესრულდა ე. ნინოშვილის გარდაცვალებიდან. დიდიხანია ისტორიას ჩაბარდა ნინოშვილის გურია.

სასტორიო გამარჯვებაში, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინისა და სტალინის მეთაურობით, საგრძნობი წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხის საყვარელმა მწერალმა ე. ნინოშვილმა. აი რატომ გვიყვარს ჩვენ ეგნატე! საბჭოთა საქართველო უდიდესი პატივით იხსენიებს თავისუფლებისათვის, ახალი, ნათელი ცხოვრებისათვის თავდადებულ მებრძოლ-მწერალს ეგნატე ნინოშვილს.

გრ. ნუცუბიძე

◆

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საგამოფენო კომიტეტში

10 მაისიდან საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულმა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საგამოფენო კომიტეტმა შესწყვიტა მიღება განცხადებებისა გამოფენაში მონაწილეობის უფლების მინიჭების შესახებ.

სულ 10 მაისისათვის საგამოფენო კომიტეტში კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა, სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა და სხვებმა დაახლოებით 4.500 განცხადება შეიტანეს. საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ გამოფენის კანდიდატად დაამტკიცა 3.029 ექსპონენტი. უარჰყო 500 განცხადება, ხოლო დანარჩენ განცხადებათ ახლა იხილავენ. (საქდესი).

თბილისის ახალგაზრდობის შეხვედრა საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებთან

გუშინ, 11 მაისს, საღამოს, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის სარდლობის ინიციატივით ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ჩვენი დედაქალაქის ახალგაზრდობის შეხვედრა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებთან, მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან. შეხვედრის მიზანი იყო სამხედრო სასწავლებლებში მიღების პირობების პოპულარიზაცია ახალგაზრდობაში.

ათასობით ახალგაზრდები, სტალინური სამშობლოსათვის თავდადებული ჭაბუკი პატრიოტები მოვიდნენ ამ შეხვედრაზე. 20 ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. პარკის ტერიტორია იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა: მოედნებზე გამოტანილი იყო ქვემეხები მთელი თავისი მოწყობილობით, საბრძოლო ვითარებაში საჭირო კავშირგაბმულობის სხვადასხვა ხელსაწყოები და აპარატები, ქიმიური თავდაცვის ხელსაწყოები, ყუმბარები, ხელის იარაღი და სხვ.

პარკის ღია ესტრადის ეზოში, რომელიც რამდენიმე ათას კაცს იტევს, გაიხსნა შეხვედრისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს: ხალხთა მამა და ბელადი — დიდი **სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ჟდანოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მეხლისი, დიმიტროვი, ტელმანი, ხოზე დიასი და ჩარკვიანი.** დიდი **სტალინისა** და მისი უახლოესი თანამებრძოლებისა და მოწაფეების დასახელებას საზეიმო სხდომაზე დამსწრე მრავალი ათასი ახალგაზრდა მშრომელი მხურვალე და ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა.

საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ სიტყვით გამოვიდა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კომისარი ამხ. **მარკოვი,** შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს — კურსანტმა ამხ. **ცაპლინმა,** თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მეათე კლასის მოწაფემ ამხ. **ალტუნაშვილმა,** კურსანტმა **კულიოვმა** და თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების სახელით ამხ. **ხელაშვილმა.**

შეხვედრის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს** და თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ **ვოროშილოვს.** შეხვედრა დამთავრდა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტთა თვითმოქმედი წრეების გამოსვლით.

პრესის მიმოხილვა

მთავარია პროპაგანდის ხარისხი

ჩვენმა პრესამ უკანასკნელ ხანებში სერიოზულად გააუმჯობესა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და უძლეველი იდეების პროპაგანდა. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ გაზეთებმა გაახშირეს თეორიული სტატიების ბეჭდვა, შედარებით უფრო მეტად დაიახლოვეს თეორიული ფრონტის მუშაკები. გაზეთებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდის ახლებურად გარდაქმნის საქმეში.

მაგრამ ის მუშაობა, რომელიც ჩვენმა გაზეთებმა ამ მხრივ ჩაატარეს, საქმის მხოლოდ დასაწყისია. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას ჯერ კიდევ არ უჭირავს სათანადო ადგილი ჩვენი პრესის ფურცლებზე. ამიტომ შეცდომა იქნებოდა ჩატარებული მუშაობის გამო თვითკმაყოფილებას მივცემოდით და პროპაგანდის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებაზე ყოველდღიურად არ გვეზრუნა. ყოველ შემთხვევაში ასეთი თვითკმაყოფილებისათვის ძლიერ მცირე საფუძველი აქვს ზოგიერთ ჩვენს გაზეთს და მათ შორის გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისს“, რომლის რედაქტორი გრ. მსხილაძე აღფრთოვანებულია თავისი მუშაობით.

გაზ. „ინდუსტრიულმა ქუთაისმა“ მართალაც ჩაატარა ერთგვარი მუშაობა პროპაგანდის ახლებურად გარდაქმნის საკითხის გაშუქებისათვის. გაზეთი ათავსებს წერილებს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყეს პარტორგანიზაციებმა პროპაგანდისტული მუშაობის გარდაქმნა, როგორ შეუდგნენ პარტიის წევრები და კანდიდატები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლას და სხვ. გაზეთი ათავსებს ნათარგმნსა და ორიგინალურ თეორიულ სტატიებსაც. წერილების მხოლოდ რიცხვის მიხედვით რომ გვემსჯელა, თუმცა ეს რიცხვიც არასაკმაოა, მაინც ამ მხრივ ბევრი არაფერი გვექნებოდა სასაყვედურო. სულ სხვანაირი სურათია, თუ ამ წერილებს განვიხილავთ ხარისხის მიხედვით.

ავიღოთ, მაგალითად, ის წერილები, რომლებიც ეხებიან პარტიულების მიერ პარტისტორიის შესწავლის დაწყებას. ამ წერილების დიდი ნაწილი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რამდენიმე ფაქტი. აი ერთი ადგილი გაზეთის 1938 წლის 23 ნოემბრის ნომრიდან:

„ამოთიას უკვე წაკითხული აქვს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. იგი ახლა შეუდგა მოკლე კურსის ცალკე თავების ღრმად შესწავლას. ამავე დროს, პარალელურად მეცადინეობს მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის ნაშრომებზე“.

1938 წ. 1 დეკემბრის ნომრიდან:

„დოც. ი. გვერდწითელს დღემდე მთლიანად აქვს წაკითხული „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. ახლა ისევ დაუბრუნდა პირველ თავს, სწავლობს გულდასმით, ადგენს ცალკეული თავების კონსპექტს, კითხულობს დამატებით ლიტერატურასაც“.

1938 წ. 2 დეკემბრის ნომრიდან:

„წავიკითხე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. ახლა მისი საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, ვკითხულობ ისევ თავიდან. კითხვის დროს ვიყენებ დამხმარე ლიტერატურას და ვადგენ კონსპექტს“.

ასე დაუსრულებლად მეორდება ეს ფრაზა ყველა წერილში. აი თუნდაც მიმდინარე წლის იანვრის რამდენიმე ნომერი:

1939 წ. 3 იანვრის ნომრიდან:

„საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად ახალ მიღებულმა ინჟინერმა დ. ტორჩინავამ ერთხელ უკვე წაიკითხა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ და ახლა ამ მეცნიერული განძის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა“.

4 იანვრის ნომრიდან:

„ჯერ გულდასმით გადავიკითხე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, შემდეგ კი ცალკე თავების ღრმა, საფუძვლიან შესწავლას შევუდექი... დღემდე შესწავლილი მაქვს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სამი თავი“.

ამავე ნომრიდან:

„პირველყოვლისა გულდასმით წავიკითხე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის“ თორმეტივე თავი და გავიგე, თუ რას წარმოადგენდა იგი, რა იყო საჭირო ამ თავების ღრმა, საფუძვლიანი შესწავლისათვის... დღემდე შევძელი მხოლოდ ორი თავის შესწავლა“.

ეს მდგომარეობა არ შეცვლილა შემდეგ თვეებშიც, არ შეცვლილა დღემდე. აი თუნდაც 5 მაისის ნომერი:

„პირველყოვლისა წავიკითხე პარტიის ისტორია თავიდან ბოლომდე, ხოლო მისი საფუძვლიანი შესწავლის მიზნით ისევ პირველი თავიდან დავიწყე კითხვა“.

ამავე ნომრიდან:

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლისთანავე შევიძინე ეს უდიდესი მნიშვნელობის სახელმძღვანელო, დავიწყე კითხვა და მთელი წიგნი ჯერ მთლიანად წავიკითხე, შემდეგ კი შეუდექი პარტიის ისტორიის თავიდან შესწავლას“.

და სხვ. და სხვ.

აბა რა უნდა ისწავლონ აქედან წიგნზე დამოუკიდებლათ მომუშავე ამხანაგებმა!

ექვსი თვეა, რაც გაზეთი ერთსა და იმავეს იმეორებს: პირველად მთლიანად წავიკითხე, შემდეგ თავიდან საფუძვლიანად დავიწყე შესწავლა, ადგენს კონსპექტს, კითხულობს დამხმარე ლიტერატურას, დიდ დახმარებას უწევს გაზეთში გამოქვეყნებული წერილები და, რაც მთავარია, (დღეისათვის ან ახლაც) საფუძვლიანად შესწავლილი აქვს ორი (ან სამი) თავი. შაბლონი, ტრაფარეტი, რომელიც გაზ. „ინდუსტრიულ ქუთაისს“ წერილებს ჭარბად ახასიათებს, აშკარად მოწმობს, რომ თვით ამ გაზეთის ზოგიერთი მუშაკი ნაკლებად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე.

გასაგებია, რომ ისეთი გაზეთით, რომელიც შაბლონურად, ტრაფარეტულად კეთდება, მკითხველები კმაყოფილი ვერ იქნებიან. „ინდუსტრიულ ქუთაისს“ გაცილებით მეტი დახმარების გაწევა შეეძლო პარტორგანიზაციებისათვის, ეს ერთფეროვნება და შაბლონი რომ თავიდან მოეშორებინა, თუნდაც შედარებით მცირე რაოდენობით დაებეჭდა წერილები, მაგრამ სამაგიეროდ დაებეჭდა ისეთები, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებსა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს დაეხმარებოდა მუშაობაში, ასწავლიდა რამეს.

ახლა პროპაგანდისტული ხასიათის სტატიებზე შევჩერდეთ. უსათუოდ მისასალმებელია, რომ გაზეთი ცდილობს ნათარგმნ სტატიებთან ერთად მისცეს ორიგინალური სტატიებიც. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორიგინალური სტატიის მარკით დავბეჭდოთ ყოველგვარი აბდაუბდა, რასაც ხშირად ვხვდებით გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის“ ფურცლებზე. ქუთაისში საკმაო რაოდენობით არიან მეცნიერული ძალები, რომლებსაც შეუძლიათ მაღალხარისხოვანი სტატიები დასწერონ, მაგრამ გაზეთის გარშემო ეს ძალები არ არიან შემოკრებილი. თეორიულ სტატიებს უმთავრესად სწერს ორი-სამი კაცი და მათ შორის ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს ირ. ხანთაძე. რას და როგორ სწერს ეს „თეორეტიკოსი“, ამაზე წარმოდგენას მოგვცემს მისი ერთი სტატიის გაცნობაც. ავიღოთ თუნდაც სტატია „კაპიტალი და ადამიანი“, რომელსაც „ინდუსტრიული ქუთაისის“ ორ ნომერში (11 და 12 მარტი) 4 ფელეტონი აქვს დათმობილი.

ეს სტატია არა თუ ეხმარება მკითხველს მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლაში, არამედ, პირიქით, მთელ რიგ გაუგებრობებსა და არევდარევას იწვევს. იმის მაგივრად, რომ სტატია მკითხველს უხსნიდეს, თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში რა ჩაგვრასა და ექსპლოატაციას განიცდის პროლეტარიატი და საერთოდ მშრომელი ხალხი, სტატია ლაპარაკობს კაპიტალიზმის დროს საერთოდ ადამიანის ჩაგვრაზე, მის ბედზე, მის უძლურებაზე და სხვ. და სხვ. იმის მაგივრად, რომ სტატია მკითხველს უხსნიდეს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მშრომელთა მილიონებისათვის არ არსებობს თავისუფლება და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა, რომ თავისუფლება არსებობს მხოლოდ ერთი მუჭა ექსპლოატატორებისათვის, სტატია ლაპარაკობს კაპიტალიზმის დროს საერთოდ თავისუფლების არარსებობაზე. საერთოდ ადამიანთა დამახინჯებაზე, საერთოდ ადამიანის ინდივიდუალობის ჩახშობაზე და სხვ. და სხვ.

აი როგორ იწყება ეს სტატია:

„სასაქონლო-კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მართალია ადამიანების შრომა ატარებს საზოგადოებრივ ხასიათს, მაგრამ კერძო საკუთრება სთიშავს მათ, აცალკევებს და მტრულად უპირისპირებს ერთმანეთს, როგორც კონკურენტებს. კაპიტალისტური კონკურენციის საფუძველზე ადამიანი ადამიანისათვის მგლად არის გადაქცეული“.

აქ უკვე ჩანს ავტორის მთელი თეორიული ავლადიდება. ავტორს დავიწყებია „წვრილმანი“, დავიწყებია, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამ საზოგადოების დიდი უმრავლესობისათვის, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ენით რომ ვთქვათ, ამ საზოგადოების ცხრა მეათედისთვის კერძო საკუთრება არ არსებობს, რომ ამის გამო ამ უმრავლესობის ინტერესები კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ, პირიქით, ერთმანეთს ემთხვევა. ავტორს დავიწყებია, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საერთოდ ადამიანთა ინტერესები კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ერთმანეთს უპირისპირდება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის, მჩაგვრელთა და ჩაგრულთა, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა ინტერესები. განა შეიძლება მარქსისტმა ასეთი რამ დაივიწყოს?

ან ავიღოთ მეორე ადგილი. ავტორი სწერს:

„ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩარჩოებში, სადაც გამეფებულია „ბრძოლა ყველასი — ყველას წინააღმდეგ“, სადაც ერთი მეორეს უღობავს გზას და თვითეული ცდილობს ყველას, ვინც მას გზაზე ეღობება, ყელში სწვდეს; სადაც პროდუქტი ბატონობს ადამიანებზე და პიროვნება სტიქიური ძალების სუსხით არის შებოჭილი — ადამიანის თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარება ისევე შეუძლებელია, როგორც ტლაპოს ორმოში გადავარდნილი კაცისათვის საკუთარი ქოჩრით საკუთარი ხელის წავლებით ტლაპოდან ამოყვანა“.

და ამას ეწოდება თეორიული სტატია, რომელიც ეხმარება მკითხველებს მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში? თუ კი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძვის, თუ კი თვითეული ცდილობს მეორეს სწვდეს ყელში, მაშინ როგორ არის შესაძლებელი მუშათა გაერთიანება, მუშათა პარტიის შექმნა, კაპიტალიზმის დამხობა და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარება? აღარაფერს ვამბობთ საერთოდ ადამიანთა, პიროვნებათა შებოჭვაზე, საერთოდ ადამიანთა თავისუფალ და ყოველმხრივ განვითარებაზე და სხვა ასეთი ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზების შესახებ.

ან კიდევ:

„ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებობისათვის ბრძოლის ერთადერთ იარაღს წარმოადგენს კაპიტალი. ვისაც კაპიტალი არა აქვს, მას მხოლოდ ორი გზა დარჩენია: სიმშილისაგან მოკვდეს ან მონად გაუხდეს კაპიტალს“.

სადღა არის რევოლუციური გზა, მონობისაგან განთავისუფლების გზა, კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის აშენების გზა!

დამახასიათებელია ამ სტატიის ენაც:

„კრიზისის „კოშმარული ძალები, კონიუნქტურის მოულოდნელი ცვლილებები და მსოფლიო მნიშვნელობის კონვულსიები მომაკვდინებლად მოქმედებენ ბურჟუაზიულ ინდივიდზე“.

ან კიდევ:

„გასული საუკუნიდან მათი ანალიტიკურ-სინთეტიური გონების თვალები“... და სხვ. და სხვ.

ამგვარი აბდაუბდით და შეცდომებით სავსეა მთელი სტატია. შეიძლებოდა ცოტა რამ გვეთქვა ზოგიერთი სხვა წერილის შესახებაც, მაგრამ ნათქვამიდანაც ნათელია, რომ გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქცია და პირველ რიგში მისი რედაქტორი გრ. მსხილაძე ნაკლებად ზრუნავენ პროპაგანდისტული სტატიების ხარისხზე, საერთოდ წერილების ხარისხზე, ხოლო ხარისხის საკითხი მეორეხარისხოვანი საკითხი როდია.

გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციას მომავალში დასჭირდება უფრო მეტი დაკვირვებით იმუშაოს წერილებსა და სტატიებზე, შემოიკრიბოს მეცნიერ მუშაკთა და საუკეთესო პროპაგანდისტთა კადრები, დაბეჭდოს მხოლოდ ისეთი მასალები, რომლებიც ნამდვილად დაეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს, დაეხმარება ჩვენს კადრებს, ჩვენს ინტელიგენციას მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში. ნაკლები თვითკმაყოფილება საკუთარი მუშაობით! მეტი საქმიანი, ბოლშევიკური მუშაობა! — აი რა არის საჭირო.

ეგნატე ნინოშვილი—ბიუროკრატიზმის შესახებ პროზაში

ეგნატე ნინოშვილის წერილი საყურადღებოა არა მარტო ცხოვრების იმ დუხჭირი პირობების წარმოსადგენად, რომლებშიაც შესანიშნავ ქართველ მწერალს უხდებოდა მუშაობა, არამედ მისი შემოქმედებითი კონცეპციის დასახასიათებლადაც. მასში მოცემულია შემოქმედების რეალისტური მეთოდის ძირითადი პრინციპი ტიპიური მოვლენების ასახვის შესახებ.

აღნიშნული წერილი ე. ნინოშვილს გაუგზავნია სახოკიასთვის 1892 წელს სოფ. გომიდან დ. ზესტაფონში. მასში მოხსენებული მოთხრობის ავტორია შიო არაგვისპირელი. ეს მოთხრობა „არ გვინდა, არა!“ დაიბეჭდა „ივერიაში“ 1892 წელს.

მთარგმნელი ს. გრიაზნოვი ქართველი მასწავლებელია. მსახურებდა მასწავლებლად ჯერ გურიაში, შემდეგ თბილისში. გარდაიცვალა 1935 წელს.

წერილის დედანი დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.

ძმაო თედო!

ვაგზავნი ამ თითო ნაგლეჯ წერილებს და ყველა ერთ წერილად არ ღირს. მაგრამ რას იზამ ამ გაჭირვებაში!

ჩემი წიგნები ძლიერ ცუდად არის გამოცემული — ჯერ კორექტურული შეცდომები და მერე ამას აღარც სათაური აქვს და აღარც სარჩევი.

ერთი მოთხრობის („გოგია უიშვილის“) თარგმნა დაუწყია რუსულად ს. გრიაზნოვს. ეს მოთხრობა ჩემის ფიქრით ყველაზე უგლახესია ჩემს მოთხრობებში.

შიოს მოთხრობა კარგი იყო. მაგრამ ჩემის ფიქრით, მოთხრობების მწერალმა შემთხვევითი ფაქტი არასდროს არ უნდა აიღოს თავისი მოთხრობის დედააზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპები უნდა იხატებოდეს მოთხრობაში. თუ შემთხვევით რამეს შეეხება ავტორი, ეს შემთხვევითი ქე მაინც მეორე ხარისხის ადგილას უნდა ქონდეს. წინაამძღვრიანთ სკოლა, სამრევლო და სამინისტრო შკოლები შემთხვევითი ფაქტებია, ესეიგი დღეს არის ხვალ აღარ იქნება, მართალია ასეთ მოთხრობებს პუბლიცისტური ხასიათი აქვს და სარგებლობის მოტანაც შეუძლია, მაგრამ მოთხრობების მწერალი ბევრს აჯებს აჲით. ამ შემთხვევითი ფაქტების დედააზრად აღების მიზეზია, რომ ეხლანდელი ბელეტრისტული თხზულებანი ძლიერ ადრე ბერდებიან და ჰკარგავენ ფერს. საზოგადოდ შიოს მოთხრობები ძლიერ მომწონს, გ. უსპენსკის მომაგონებს.

კაცო შენ რაღას სწერ? აბა მოგვაწოდე რამე, ჰა!...

თედო ნუ უცდი ჩემს წერილებს, როცა დრო იშოვნო, გამომელაპარაკე.

შენი **ეგნატე.**

17 ივნისი.

მდგომარეობა დანციგში

ლონდონი, 10 მაისი (საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი ჰერალდის" დანციგელი კორესპონდენტი იუწყება, მდგომარეობა დანციგში დღითი-დღე სულ უფრო დაძაბული ხდება. ამ უკანასკნელ დღეებში დანციგში მრავალი საეჭვო „ტურისტი" გაჩნდა; ისინი კერძო სახლებში ცხოვრობენ. მათ შორის არის აღმოსავლეთ პრუსიიდან ჩამოსული ათასზე მეტი ახალგაზრდა, რომელთა ნაწილიც გამოწყობილია ფაშისტურ ფორმაში. გარდა ამისა, დანციგს „შვებულებაში" დაბრუნდა მთელი დანციგელი ფაშისტური ახალგაზრდობა, რომელიც გერმანიის არმიაში მსახურობს. ყველა პოლიციელს შვებულება შეუწყვიტეს.

კორესპონდენტის სიტყვით, დანციგში შეუპოვრად ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ უახლოეს დროში „პუტჩი" აუცილებელია. ამასთან აცხადებენ, რომ გერმანიის ჯარების მიერ სუდეტის ოლქის დაპყრობის წინ იქაც გაჩნდნენ მსგავსი „ტურისტები".

დასასრულ კორესპონდენტი იუწყება, რომ ამ უკანასკნელ დღეებში დაპატიმრებულია 37 კაცი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, რომ ისინი სიმპატიურად ეპყრობიან ანტიფაშისტურ მოძრაობას.

პოლონური გაზეთები დანციგის შესახებ

ვარშავა, 10 მაისი (საკდესი). მთელი რიგი პოლონური გაზეთები იუწყებიან, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლომდგომი წრეები ბერლინში ფართოდ ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ ვითომ, თავისუფალ ქალაქ დანციგში მოსალოდნელია ჩატარდეს „პლებისციტი". ამ „პლებისციტის" ინსცენირება თითქოს ქ. დანციგის ფაშისტურმა სენატმა უნდა იკისროს. მთავრობის გაზეთი „ექსპრეს პორანი" სწერს: როგორც სჩანს, გერმანიას განზრახვა აქვს „პლებისციტის" კომედიის გზით შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, ვითომც გერმანიასთან დანციგის შეერთება თავისუფალი ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილს წარმოადგენს. „თავისი გულუბრყვილო და უხეში მოქმედების დროს, — სწერს გაზეთი, — გერმანიამ ავიწყდება, რომ დანციგის საკითხის ცალმხრივი გადაჭრის ყოველ ცდას წინდაწინვე მარცხი მოელის".

ინგლისი და გერმანია

ლონდონი, 10 მაისი (საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი ექსპრესის" დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, წარსულ კვირას საიდუმლოდ სპეციალური დავალებებით ლონდონს ჩამოვიდა ვოლტატი, რომელიც „გერმანიის მარჯვენა ხელია". კორესპონდენტის აზრით, ვოლტატი „ნიადაგს სინჯავს" მოლაპარაკებისათვის ინგლის-გერმანიის ახალი სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ.

ინგლისის ვაჭრობის მინისტრმა სტენლიმ თემთა პალატის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, როგორც კი ახლანდელი დაძაბული მდგომარეობა შენელდება, მოხარული ვიქნები განვაახლო მოლაპარაკება ინგლის-გერმანიის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ.

ჩინელ პარტიზანთა გაბედული თავდასხმა

ლონდონი, 10 მაისი (საკდესი). როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, 9 მაისს, ღამით, ასი შეიარაღებული ჩინელი პარტიზანი შეიპარა კანტონში, სადაც თავს დაესხა ფორმოზის ბანკის იაპონელების კუთვნილ განყოფილებას. საში იაპონელი ჯარისკაცი, რომელმაც სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მოჰკლეს. პარტიზანები შევიდნენ ბანკში, უბრძანეს შინა დამცველ რაზმს გაეღო ცეცხლგამძლე სეიფები, გაიტაცეს 26.000 გირვანქა სტერლინგი ბანკნოტითა და ვერცხლით და მშვიდობიანად მიიმალნენ.

მარიონეტული „მთავრობის" ჯარის აჯანყება

შანხაი, 10 მაისი (საკდესი). მარიონეტული „მთავრობის" მიერ ადგილობრივი მოსახლეობიდან მობილიზებული ჯარი სულ უფრო-და-უფრო ხშირად გადადის ნაციონალური მთავრობის მხარეს.

გაზეთი „ხუამეიჩენბაო" იუწყება, რომ 26 აპრილს ძისიანის (ხენანის პროვინციის ჩრდილო ნაწილი) რაიონში აჯანყდა მარიონეტული „მთავრობის" ჯარის ერთი რაზმი, რომელიც 300 კაცისაგან შესდგება. 27 აპრილს ამავე რაიონში მეორე რაზმი აჯანყდა. ამ რაზმის ჯარისკაცებმა მოჰკლეს იაპონელთა ოთხი მრჩეველი და გაანადგურეს მარიონეტული „მთავრობის" დაწესებულებანი. ბოლოს ორივე რაზმი პარტიზანებს შეუერთდა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი და ლონდონელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

იაპონიის ჯარის კონტრიერიშები ნანჩანის რაიონში უშედეგო აღმოჩნდა. ჩინეთის ჯარი კვლავ თავის პოზიციებს ინარჩუნებს და თანდათან უახლოვდება ქალაქს.

7 მაისს ნანჩანის ჩრდილო-დასავლეთით მომქმედმა ჩინეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს მთელი რიგი პუნქტები, რომელნიც მდებარეობენ 20-25 კილომეტრზე უნინის ჩრდილოეთით.

ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინელ პარტიზანთა მოქმედების მნიშვნელოვანი გაძლიერება ემჩნევა. 8 მაისს, ღამით, პარტიზანებმა უეცრად მიიტანეს იერიში ძინიუნჩენზე (დაეს სამხრეთ-დასავლეთით) და გაანადგურეს 500 კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმი. პუცის მახლობლად პარტიზანებმა რკინიგზის ხიდი ააფეთქეს. ამასთან დაკავშირებით სარკინიგზო მიმოსვლა ხუბეისა და ხუნანის პროვინციებს შუა შეწყვეტილია.

5 მაისს ჩინელთა მოწინავე რაზმებმა იერიში მიიტანეს ანცინზე (ანხუეის პროვინციის დედაქალაქი). იაპონელთა ნაწილები შეტევაზე გადასული ჩინელთა რაზმების ზემოქმედებით იძულებული გახდნენ თავი შეეფარებინათ ქალაქის კედლებისათვის. შეტევაზე გადასული ჩინეთის ჯარის ნაწილი შეიჭრა ქალაქში, რომლის ქუჩებშიც გაფთრებული ბრძოლა გაიმართა. ჩინელთა რაზმებმა გაანადგურეს იაპონელთა საბრძოლო მასალისა და სურსათის საწყობები. დაზიანებულია აეროდრომი. დასწვეს ანგარი.

მღელვარება კლაიპედის ოლქში

ვარშავა, 10 მაისი (საკდესი). ექსპრესის სააგენტოს ცნობით, კლაიპედის (მემელის) ოლქში მღელვარება გრძელდება. სოფელ დოვილიანში (კლაიპედის მახლობლად) სისხლის მღვრელი შეტაკება მოხდა გერმანელ პოლიციელთა რაზმებსა და ლიტველ გლეხებს შორის. მოკლულია სამი გლეხი, ერთი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა. შეტაკების მიზეზი ის იყო, რომ გლეხებმა უარი განაცხადეს გერმანელი კომისრისათვის სურსათის მიცემაზე.

გერმანიის სიმაგრეთა აფეთქება კლაიპედაში

პარიზი, 10 მაისი (საკდესი). დანციგიდან იუწყებიან, რომ კლაიპედაში აფეთქდა ის სიმაგრენი, რომლებსაც გერმანიის სამხედრო ხელისუფალნი აგებენ. აფეთქებას ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

რომის პაპის აქტიურობა

ლონდონი, 10 მაისი (საკდესი). გაზეთ „ივნინგ ნიუსის" პოლიტიკური მიმომხილველი იუწყება, რომ პაპმა წინადადება შეიტანა, მოწვეულ იქნას კონფერენცია ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიისა და იტალიის შემადგენლობით. პაპის წინადადებით, ამ კონფერენციის უშუალო ამოცანას უნდა შეადგენდეს ხელისშეწყობა იმისათვის, რომ მოგვარებულ იქნას პოლონეთსა და გერმანიას შორის არსებული დავა პოლონეთის კორიდორისა და დანციგის შესახებ, აგრეთვე გადაჭრილ იქნას სადაო საკითხები საფრანგეთსა და იტალიას შორის. პაპის ეს წინადადება ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰალიფაქსს გადასცა პაპის ლონდონელმა ნუნციუსმა გოდფრეიმ. როგორც ჰფიქრობენ, ანალოგიური წინადადებანი გადაეცათ საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიისა და იტალიის მთავრობებს. ინგლისი და საფრანგეთი კონსულტაციას უწევენ ერთმანეთს პაპის ამ წინადადების შესახებ. ინგლისი, შენიშნავს მიმომხილველი, მზად არის ხელი შეუწყოს საკითხთა მშვიდობიანი გზით გადაჭრას. სხვა სახელმწიფოთა პოზიციები სავსებით გარკვეული ჯერ კიდევ არ არის.

ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ვატიკანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეები ადასტურებენ, პაპმა „ენერგიული მუშაობა გააჩაღა, რათა უზრუნველყოფილ იქნას გერმანიასა და პოლონეთს შორის დავის მშვიდობიანი გადაწყვეტაო".

გერმანელ ჯაშუშთა დაპატიმრება არგენტინაში

ამერიკული გაზეთის „ჰერალდ ტრიბიუნის" ცნობით არგენტინის ხელისუფლების ორგანოებმა დააპატიმრეს ორი გერმანელი ჯაშუში, რომლებმაც ერთი ჩილიელის თანხლებით უკანონოდ გადალახეს საზღვარი ჩილის მხრიდან. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ 2 რევოლვერი და არგენტინისა და ჩილის სხვადასხვა რაიონების რუკები.

10 მაისი. (საკდესი).

საფრანგეთის იაპონელი ელჩის წარდგინება

პარიზი, 10 მაისი (საკდესი). ტოკიოდან გადმოგვცემენ, რომ გუშინ საფრანგეთის ელჩმა იაპონიაში საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრი ინახულა და სერიოზული წარდგინება გაუკეთა ამ უკანასკნელს იმ ზარალის თაობაზე, რომელიც მიაყენეს საფრანგეთის საკონსულოს ჩუნცინში ამასწინათ მომხდარი ბომბარდირების დროს.

თბილისი. სტალინის სახელობის სანაპირო ქუჩის ხედი

საქდესის ფოტოქრონიკა.

ქალაქის ახალი პარკები, ბაღები და ხელოვნური ტყეები

პარკი მადათოვის კუნძულზე

დამთავრდა მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოები ყოფ. მადათოვის კუნძულის (კ. მარქსის ხიდიდან კალიაევის ხიდამდე) მთელ ტერიტორიაზე. აქ წელს გაშენებულია პარკი 9,3 ჰექტარზე და დარჩენილია მხოლოდ ის უბნები, სადაც ჯერჯერობით კვლავ დგას რამდენიმე ძველი სახლი. ამ სახლების აღების შემდეგ დარჩენილი ფართობები შემოდგომაზე იქნება გამწვანებული.

ამ პარკში წელს დარგეს 7.828 ძირი სხვადასხვა მცენარე. მათ შორის დარგულია 352 ძირი დიდი წიწვიანი ჯიშის ხე, ფოთლოვანი მცენარეები, ბუჩქები და დათესილია ბალახი.

პარკი გადაეცემა კიროვის რაისაბჭოს.

ტყე კომკავშირულ ხეივანთან

ამ დღეებში დამთავრდა მუშაობა კომკავშირული ხეივნის გაყოლებით წიწვიანი ტყის გასაშენებლად. უკვე დარგულია 1529 ძირი ხე. ნერგების უმეტესობა ჩამოტანილია მანგლისის ტყეებიდან.

ამ ხელოვნური ტყისათვის უფრო მეტი ბუნებრივობის მისაცემად, წიწვიან ჯიშებს გარდა დარგულია აგრეთვე ჯაგები, ბროწეული და ფოთლოვანი ჯიშის მცენარეები.

მომავალში გადაწყვეტილია კომკავშირული ხეივნის მთელი გადმოსმა ფერდობის გამწვანება და იქ ფართო საცალფეხო კიბეების გაკეთება.

ოთხნახევარ კილომეტრიანი ხეივანი

თბილისის გამწვანების ტრესტმა დაამთავრა მუშაობა საბურთალოდან ლისის ტბამდე ხეივნის გასაშენებლად. ლისის ტბაზე მიმავალი გზის გაყოლებით ორივე მხარეზე ორ წყებადაა დარგული აკაციის ხეები. ნერგები ჩამოტანილია ბაღდათის და გალის რაიონებიდან და აზერბაიჯანიდან. ეს არის ყველაზე უგრძესი ხეივანი მთელ საქართველოში. მისი სიგრძე უდრის 4-ნახევარ კილომეტრს.

თვით ლისის ტბის მახლობლად დამთავრებულია 2 ჰექტარი ფართობის გამწვანება. დარგულია 13.000 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხეები.

სერგეი აქსაკოვი

(გარდაცვალებიდან 80 წლისთავის გამო)

ლიტერატურის ისტორიაში ბევრია მწერალი, რომლის შემოქმედებითი აღტყინება მაშინ იწყება, როცა სხვები შემოქმედებით მუშაობას უკვე ამთავრებენ. სერგეი აქსაკოვი ერთერთი ასეთი ლიტერატურული მოღვაწეა. სამწერლო ასპარეზზე იგი გამოვიდა მაშინ, როცა თითქმის 40 წლისა იყო. მისი იდეოლოგია ჩამოყალიბდა და განვითარდა მისივე შვილების — ი. ს. და კ. ს. აქსაკოვების გავლენით, რომლებიც რუსული სლავიანოფილური მიმდინარეობის იდეურ ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ.

სერგეი ტიმოთეს-ძე აქსაკოვი დაიბადა 1791 წელს 1 ოქტომბერს ქ. უფაში. მამამისი აზნაური-მემამულე იყო. მთელი ოჯახი უზრუნველად ცხოვრობდა ყმა-გლეხების ხარჯზე. 10 წლის სერგეი მშობლებმა ყაზანის გიმნაზიაში მიაბარეს, ხოლო 4 წლის შემდეგ ამავე ქალაქის უნივერსიტეტში შეიყვანეს. სასწავლებელში ბავშვს არ გამოუჩენია რაიმე განსაკუთრებული ნიჭი და უნარი და, როგორც თვითონ ამბობდა, საერთოდ მაშინდელმა უნივერსიტეტმა მას ძალიან მცირე ცოდნა შესძინა. 1808 წელს მან დაამთავრა უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო კანონების შემდგენ კომისიაში მთარგმნელად. ამ პერიოდში იგი გაეცნო ცნობილ რუს ნაციონალისტს შიშკოვს, რომელმაც თავისი სლავიანოფილური იდეებით დიდი გავლენა იქონია აქსაკოვზე. მალე მან დაანება თავი მთარგმნელობას და მხოლოდ 1827 წელს დაიწყო მუშაობა ცენზორად და შემდეგ მუშაობდა კონსტანტინოვსკის მიწისმზომელთა ინსტიტუტში. მალე აქსაკოვმა მიიღო დიდი მემკვიდრეობა და სრულიად დაანება თავი სახელმწიფო სამსახურს.

ლიტერატურული მოღვაწეობა მან 1832 წლიდან დაიწყო. მანამდე უმთავრესად — ბუალოსა და მოლიერის ნაწერებს თარგმნიდა. 1833 წელს გამოვიდა მისი პირველი ნარკვევი „ქარბუქი". ეს ნაწარმოები გოგოლის რეალისტური პროზის გავლენით არის დაწერილი. გოგოლთან მას მჭიდრო მეგობრობა ჰქონდა, მიუხედავად დიდი სხვაობისა მათ ასაკს შორის (გოგოლი მაშინ 18 წლისა იყო). გოგოლის რეალიზმის ცხოველმყოფელი გავლენა აქსაკოვს თან ახლდა მთელი თავისი ლიტერატურული საქმიანობის მანძილზე.

ს. ტ. აქსაკოვის შემოქმედება განსაკუთრებით ორმოციან წლებში გაიშალა. ამ პერიოდში მან მოგვცა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც რუსული რეალისტური პროზის კარგ ნიმუშებად ითვლება. ასეთებია „წერილები ანკესით თევზის ჭერაზე" (გამოვიდა 1847 წელს), „თოფით მონადირის წერილები" (1852 წელს), „მოთხრობები და მოგონებანი" (გამოვიდა 1854 წელს) და განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი თხზულებანი „საოჯახო ქრონიკა" (დაიბეჭდა 1856 წელს) და „ბაგროვის შვილიშვილის ყრმობის წლები" (გამოვიდა 1858 წელს).

აქსაკოვის ნაწარმოებნი გამსჭვალულნი არიან მშობლიური ხალხის სიყვარულით და იძლევიან რუსი მემამულის ყოფის სრულქმნილ სურათს. „საოჯახო ქრონიკაში" ნაჩვენებია ამ ყოფის დადებითი და უარყოფითი მხარეები ისე, როგორც ეს დიდ მხატვარს შეჰფერის; იდეოლოგიურად კი იგი მწერლის სლავიანოფილური იდეების გადმოღერებას წარმოადგენს. აქსაკოვი, მაგალითად, დადებით მოვლენად სთვლის ბატონყმობას. მემამულე მას წარმოდგენილი ჰყავს, როგორც მამა, ხოლო ყმა-გლეხი — მის შვილად. მიუხედავად ამისა, „საოჯახო ქრონიკა" შესანიშნავი ლიტერატურული მასალაა ეპოქის დახასიათებისათვის.

ს. აქსაკოვი ბავშვის ბუნების ზედმიწევნით ცოდნას ამჟღავნებს. ბაგროვის შვილიშვილის განცდების გადმოცემას თავისი უშუალობით ახლაც აღტაცებაში მოჰყავს მკითხველი. ამავე დროს აქსაკოვი ბუნების შესანიშნავი მხატვარია.

საბჭოთა მკითხველი დიდად აფასებს ამ მწერალს, რომელმაც ამაგი დასდო მშობლიურ ლიტერატურას და რომლის გარდაცვალებიდან 80 წელი დღეს სრულდება.

ა. ბარათელი

ფეხბურთი

შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე

12 მაისს იწყება სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. „ა" ჯგუფში შედის საბჭოთა კავშირის 13 უძლიერესი გუნდი: მოსკოვის „დინამო", „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „ცდკა", „მეტალურგი", „ტორპედო", ლენინგრადის „დინამო" და „ელექტრიკი", თბილისის „დინამო", კიევის „დინამო", ოდესის „დინამო", სტალინოს „სტახანოველი" და სტალინგრადის „ტრაქტორი". ამ ჯგუფში შეჯიბრება ორ წრედ ჩატარდება. ყოველი გუნდი ერთ შეჯიბრებას მოწინააღმდეგის სტადიონზე ჩაატარებს — მეორეს კი თავის სტადიონზე.

„ბ" ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებიდან მონაწილეობას მიიღებენ თბილისის „ლოკომოტივი" და ბათუმის „დინამო".

პირველობის გათამაშების დაწყების დღეს ბათუმის სტადიონზე ადგილობრივი „დინამო" შეხვდება მოსკოვის „პიშჩევიკს". ამავე დღეს თბილისის „დინამო" შეხვდება მოსკოვის „დინამოს". 1936 წლის შემდეგ ეს იქნება ამ გუნდების მეექვსე ოფიციალური შეჯიბრება. ჩატარებული ხუთი შეჯიბრებიდან სამი ფრედ დამთავრდა (1:1, 3:3, 2:2), ხოლო ორი მოსკოველებმა მოიგეს (4:0 და 5:2).

პირველ ხუთ შეჯიბრებას თბილისის „დინამოელები" თავის სტადიონზე ჩაატარებენ. 9 ივნისს გუნდი გაემგზავრება ჯერ მოსკოვში, შემდეგ ლენინგრადში, კიევში, ოდესაში, სტალინგრადში, სტალინოში, სადაც ჩაატარებს მეორე წრის ყველა მატჩებს, რის შემდეგ, 9 სექტემბერს, ისევ თბილისში დაბრუნდება და გაითამაშებს უკანასკნელ შვიდ მატჩს.

დღეს ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს. თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში გამოვლენ ტყებუჩავა, შავგულიძე, გაგუა, ფროლოვი, ჯორბენაძე, კიკნაძე, ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ჯორჯიკია და ხარბედია.

თ. ფურცელაძე.

○

ქუთაისის ფეხბურთელების გამარჯვება

ქუთაისი (საკ. კორ.). 10 მაისს ქუთაისში ჩატარდა ადგილობრივ „დინამოს" და ოჩამჩირეს „სტრელას" ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრება. მატჩი ქუთაისის ფეხბურთელების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 7:1.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთხუთმეტე ტური

ჩემპიონატის დამთავრების მოახლოვებასთან დაკავშირებით, ყურადღების ცენტრშია ლიდერების პარტიები. ბოტვინიკმა ადვილად გაათანასწორა პარტია მაკაგონოვთან და მოიპოვა უკეთესი პოზიცია. პარტია გადაიდო. კოტოვმა ენერგიული თამაშით გამარჯვება მოიპოვა რაგოზინთან. კან-ლევენფიშის, ბელავენეც-იუდოვიჩის და დუბინინ-ჩეხოვერის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეთექვსმეტე ტური

მეთექვსმეტე ტურში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა. მაკაგონოვმა მოუგო კანს. კოტოვს ზედმეტი პაიკი აქვს დუბინინთან, ბოტვინიკს პოზიციური უპირატესობა—ჩეხოვერთან.

წინა ტურებიდან გადადებულ პარტიებში რაგოზინმა მოუგო ჩეხოვერს, რომანოვსკიმ გაუთამაშებლად დასთმო პარტია მაკაგონოვთან. რაბინოვიჩ - მაკაგონოვის პარტია ყაიმით დამთავრდა.

თექვსმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: კოტოვი + 10½ (2 გად.), ბოტვინიკი + 10 (3 გად.), ბელავენეცი + 9½ (1 გად.) და მაკაგონოვი + 9 (2 გად.).

დღეს მოხდება გადადებული პარტიების დამთავრება.

მარჯანიშვილის თეატრში

„გიორგი სააკაძე"

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დაიწყო მუშაობა რესპუბლიკის სახ. არტისტის **უშანგი ჩხეიძის** ახალ, ორიგინალურ პიესა — „გიორგი სააკაძის" დასადგმელად.

სპექტაკლის დადგმაზე მუშაობს რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი.

მთავარ როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი **შ. ღამბაშიძე** (გიორგი სააკაძე), დამსახურებული არტისტები **ვ. ანჯაფარიძე** (მზევინარ), **შ. გომელაური** (თეიმურაზ მეფე), **მ. სარაული** (ქავთარ ორბელი), **ე. დონაური** და ორდენოსანი **თ. ჭავჭავაძე** (სააკაძის დედა), **ს. ზაქარიაძე** (ბაზუტა), **ა. გომელაური** (ზურაბ ერისთავი) და **მ. ლორთქიფანიძე** (ქაიხოსრო ჯავახიშვილი).

სპექტაკლის გაფორმებაზე მუშაობენ მხატვრები **ს. ქობულაძე** და **დ. ძნელაძე**. მუსიკა **კ. მეღვინეთ-უხუცესისა**, კონსულტანტი პროფ. **შ. ამირანაშვილი**.

„გიორგი სააკაძე" თეატრს შეტანილი აქვს თავის საგასტროლო რეპერტუარში.

○

„მზის დაბნელება საქართველოში"

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მუშაობს ზ. ანტონოვის ცნობილი კომედიის — „მზის დაბნელება საქართველოში" აღდგენაზე, რომლის დადგმა ეკუთვნოდა კ. მარჯანიშვილს. სპექტაკლის აღდგენაზე მუშაობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ორდენოსანი ნ. გოცირიძე და დამსახურებული არტისტი ვ. გოძიაშვილი. მხატვარი—პროფ. სიდამონ-ერისთავი.

სპექტაკლი განზრახულია დაიდგას მაისის ბოლო რიცხვებში.

გამოსასვლელი დღის უნივერსიტეტში

12 მაისს, 1 საათზე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხავენ ლექციებს: № 93 აუდიტორიაში პროფ. გ. გეხტმანი — თემაზე: „მეცნიერული გეოგრაფიის ფუძემდებლები: ა. გუმბოლდტი და ა. კრიტტერი" (რუსულ ენაზე) და № 87 აუდიტორიაში პროფ. ბ. ყავრიშვილი — კარსტული მოვლენები და მათი გავრცელება" (ქართულ ენაზე).

ლექციებზე დასწრება თავისუფალია.

რადიო დღეს

11.35 — ინფორმაციები. 11.45—თვითმოქმედი გუნდის გამოსვლა. 12.30—ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე „იალალი". 17.05 — ინფორმაციები. 17.15 — აღმოსავლური მუსიკის კონცერტი. 18.20 — საერთაშორისო მიმოხილვა ქართულ და რუსულ ენებზე. 19.00 — ქართული სიმღერებისა და ცეკვების კონცერტი. 19.50 — ინფორმაციები. 20.00 — კონცერტი, მონაწილეობენ მაზმანოვა და შათირიშვილი. 20.30 — „მეფის საცოლეს" ტრანსლაცია სახოპერის დარბაზიდან. 00.30 — „უკანასკნელ ცნობათა" ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

13 მაისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი **კიროვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში** აწყობს ამხ. სიმონიშვილის ლექციას თემაზე: თებერვლის ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუცია და მისი თავისებურებანი. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში — ამხ. ათაბეკოვის ლექციას თემაზე: სსრ კავშირის საწარმოო ძალთა გეოგრაფიული განლაგება მესამე ხუთწლედში. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

13 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროპაგანდისტული სემინარის ყველა რგოლის მორიგი მეცადინეობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პ ა რ კ ი

12 მაისს **დიდი სეირნობა** 12 მაისს

კინო „პროფესორი მამლოკი" ახალი ხმოვანი ფილმი, დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.

დაუკრავს სასულე ორკესტრი ნ. ა. ეელტუხინის ხელმძღვანელობით სხვადასხვა გასართობები: **ტირი, კეგელბანი, ოქროს თევზი, კარუსელი, მოძრავი სერსო, ბურთები, დისკი, საქანელა და სხვ. დიდი ფეიერვერკი.**

სამკითხველო, საჭადრაკო და საბილიარდო ღიაა ღამის 12 საათამდე. საბავშვო ოთახი მუშაობს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე. კომფორტაბელური რესტორანი, კაფე, პავილიონები და კიოსკები.

100 დირექცია.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1938-39 წ. სეზონი

12/V	წარმოდგენა 185 სულელი
14/V	წარმოდგენა 186 მთაგრეხილზე
15/V	წარმოდგენა 187 არსენა

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

12/V	უბრალო გოგონა
15/V	დები ქერარ
16/V	მათი ამბავი

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

სახცირკი, ტელ. 3-11-44
დღეს
ცირკის სეზონის დახურვა
სამი წარმოდგენა:
ორი დილით: დასაწყისი პირველისა დილის 12 საათზე, მეორისა—2 ს. 30 წ.
და **საღამოს**—დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო დილის 10 საათიდან. საატრაქციონო პროგრამა.
ორი ატრაქციონი ერთ საღამოს.
ძალოსან **რაშიდ იუსუპოვისა** და ჩინური ხალხური ცირკის **ვან-იუ-ლის** უკანასკნელი გამოსვლა.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თ ე ა ტ რ ი 1938-39 წ. სეზონი.

12/V	15/V	16/V
მუდმ. ადგ. ტალ. № 166 აბ. სერ. № 1 მეფის საცოლე	მუდმ. ადგ. ტალ. № 167 აბესალომ და ეთერი	მუდმ. ადგ. ტალ. № 168 ტრავიატა

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

მთ. სააფ. სამმართველოს მედგაზას სჭირდება
მტვირთავები და დამხმარე მუშები
აღნიშნულ მუშებს თან უნდა ჰქონდეთ პასპორტები და შრომის წიგნაკები.
თბილისი, კამოს ქუჩა № 76, ტელ. № 3-17-70.
2—1 578

ა. წ. 6 მაისიდან ტრამვაის მატარებლების მოძრაობა სწარმოებს
მთელი დღეღამის განმავლობაში
ნახევარ საათის შეწყვეტით:
დილის 4½ საათიდან 5 საათამდე.
1028 ტრამვაის და ტროლეიბუსების სამმართველო.

ძმა მიშა ცოლით ოლიათი და შვილით ანზორით გოცირიძეები მწუხარებით იუწყება საყვარელი დის **მარგალიტა გოცირიძე-მაღრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. მარელისში 14/V.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ 31 მაისს, საღამოს 8 საათზე, აუდიტორია № 93-ში ფილოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ნიკოლოზ ფილიპეს-ძე ურუშაძე** ლიტერატურის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„დასავლეთ ევროპის რაინდული პოეზია და ვეფხის-ტყაოსანი"

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **კ. კაპანელი** და პროფ. **იუსტინე აბულაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე.

604

საქ. სახ. ზოოვეტექნიკური-სავეტერინარო ინსტიტუტი ამით აცხადებს,
რომ ა. წ. 20 მაისიდან ქ. თბილისში აწყობს ორთვიან უფასო მოსამზადებელ კურსებს 1939 წლის სექტემბერში მისაღები ნაკადისათვის.

ყველა მსურველმა განცხადება მოსამზადებელ კურსებზე ჩარიცხვის შესახებ უნდა შემოიტანოს ინსტიტუტში ა. წ. 20 მაისამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება მოსამზადებელი კურსების მუშაობისა და ინსტიტუტში მიღების პირობების შესახებ შეიძლება ყოველდღე (გარდა საერთო დასასვენებელი დღეებისა) დილის 9 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 11 საათამდე ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

მისამართი: თბილისი, ვაკე, მარის ქ. № 17. ზოოვეტინსტიტუტი. ტრამვაის მარშრუტი № 5.

600 საქ. სახ. ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი ნ. მესხი.

მეუღლე მინადორა, შვილები ლადო, ვლასი, ოლია, გალინა რძალი ალექსანდრა, სიძე პ. კილტავა, კ. ცაგარეიშვილი, შვილიშვილები იუწყებიან **პორფილე (ტრიფონ) გალდავას** გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზის საავადმყოფოდან 12/V 7 ს. დაკრძალვა 14/V სოფ. ღანირში. 1776

მეუღლე ივლიანა, შვილები მიშა, თამარ, შალვა, რძლები, ამალია, მერი, შვილიშვილები სოსო, კოტე, ნანული იუწყებიან ძვირფასი **ვლადიმერ მიხეილის-ძე აბესაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება ხევსურეთის, 6. 12/V 3 ს. 1765

ჯანსახკომის დედათა და ბავშვთა სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა კლინიკის თანამშრომელნი იუწყებიან ასისტენტ ირაკლი რცხილაძის საყვარელი დედის **ნინოს** გარდაცვალებას. გამოსვენება ქალ. 1 საავადმყოფოს პროზექტურიდან 12/V, 5 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1774.

დამწუხრებული დედა მარიამ, დები თამარ, დარეჯან, ძმები გიორგი, ანტონ, სევერიანე, ბესარიონ, ვლოდია, ბიძა სიმონ თაყაიშვილები, რძლები, სიძე იუწყებიან **შოთა ერმილეს-ძე თაყაიშვილის** გარდაცვალებას. 1766

დოცენტი ნინო გიორგის-ასული ვეშაპელი შვილით ლეონიდეთი იუწყება ძვირფასი მამის **გიორგი პეტრეს-ძე ვეშაპელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. საირხეში 12/V 1767

რუსთაველის თეატრის დირექცია, რეჟისურა, მსახიობები და მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან მსახიობ შალვა აბესაძის მამის **ვლადიმერ მიხეილის-ძე აბესაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12/V, ხევსურეთის, 6. 170

ვ. ადეიშვილი, ე. ბერიშვილი, ა. კვიკვიძე, ა. ჩიქოვანი, ვ. მელაძე, შ. ბაკურაძე და ს. გოქსაძე იუწყებიან ძვირფას **ვასო ძოწლაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12/V 5 ს. ხუდადოვის, 11 1770

საქ. ექიმთა საზოგადოების სამტრედიის ფილიალი მწუხარებით იუწყება ფილიალის წევრის, დამსახურებული ექიმის **რაჟდენ ივანეს-ძე ნანეიშვილის** გარდაცვალებას. 1740

დამწუხრებული მეუღლე სონია, ძმები ივანე და ალექსი, ძმისწულები ელიზბარ, დიმიტრი და თამარ, რძალი ელისაბედ პოლუმორდვინოვები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა საყვარელი **ზრიგოლ ტიმოთეს-ძე პოლუმორდვინოვი** გამოსვენება 14 მაისს, დღის 5 საათზე, კამოს ქ. № 19.

დამწუხრებული მამიდები ქსენია და ნადია თოფურიები იუწყებიან მათი საყვარელი **ნელი თოფურიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/V, 6 ს. მელიქიშვილის, 10. დაკრძალვა აბაშა, ს. კაპანაში 14/V. 1769

„მოსკოოპრომსნაბის" საქართველოს განყოფილების მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე დაწესებულების თანამშრომლის ნინო გონიაშვილის დედის **ქეთევან მიხეილის-ასულ გონიაშვილის** გარდაცვალებას. 1771

დამწუხრებული მშობლები ელენე, ირაკლი თოფაძეები იუწყებიან ძვირფას პატარა **ვახტანგ თოფაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12/V 8 ს. გამოსვენება 13/V 5 ს. კალინინის, 84. 1773

მშობლები ვანო და კატო, ძმა ოთარ, ბიძები, ბიცოლები და ბიძაშვილები ღრმა წუხარებით იუწყებიან დაუვიწყარი **კოსტა ივანეს-ძე ლომიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. აჯამეთში 13/V 4 ს. 1764

დამწუხრებული და სონია, სიძე ილია გოგოლაძეები შვილებით ვანიკათი, გოგით, ცაცათი, რძლები მუსია, თამარ, სიძე ექ. მოსიკო, ნილი ზვიადაძეები იუწყებიან საყვარელ **ქეთევან გონიაშვილის** გარდაცვალებას. 1753

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო იუწყება საპარაშუტო სპორტის ინსპექტორის ამხანაგ სიკო ინწკირველის მეუღლის **ლიზა ინწკირველის** გარდაცვალებას. 1755

დამწუხრებული მეუღლე ელისაბედ, შვილები ექიმი ნინო, მიშა, თინა, რძლები ნინო, მინადორა, სიძე ჰიჭიკო შონია, შვილიშვილები იუწყებიან ძვირფასი **გიორგი პეტრეს-ძე ვეშაპელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/V. 1760

სამტრედიის მედსანშრომის რაიადგილკომი მწუხარებით იუწყება ამავე კავშირის წევრის ექიმ **რაჟდენ ივანეს-ძე ნანეიშვილის** გარდაცვალებას. 1739

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61,—სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი: ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 1756